[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 9—10
1934

ტელმანის დაპატიმრება

მხატ. ირ.

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ
№

პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

დრო

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე 12-3 საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 3.

№ 9-10

ტფილისი, 1934

გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ბ. მოლისწრაფიშვილი—ნინოშვილი და მისი მეზობლები.

მ. პატარიძე—ნინოშვილის სოფელში.

ს. ხიდისთაველი—ე. ნინოშვილს (ლექსი).

რ. ქორქია—კოლხიდის თვალი (ნარკვევი).

ზ. დოლიაშვილი—ე. ნინოშვილს (ლექსი).

ვ. ლუარსამიძე—ს. ეულის ბიოგრაფიული ცნობები.

ბ. მეგუკე—ოქტომბრის რევოლუციის პოეტი.

კ. მიქელაძე—„ორი არწივი" (პოემა).

ა. შ-ძე—ტფილისის გარეუბნის კურორტები.

მ. ფოფხაძე—ციტრუსების ბაღში.

შ. მათიაშვილი—ამხანაგი სტალინი.

მ. ამისულაშვილი—ლაგაზა.

პროფ. მელიქსეთ ბეგი—საფრანგეთის დიდი რევოლუციის გავლენა სომხურ და ქართულ საზოგადოებაში.

ს. ეულ ი

მისი 25 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის გამო

პასგ. რედაქტორი: ვ. მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კ. ლორთქიფანიძე, გ. მუშიშვილი, ა. ჭყონია, ლ. ასათიანი, ალ. სულავა.



სახლი ს. ჩანჩეთში (გურია), სადაც ცხოვრობდა ეგნატე ნინოშვილი.

✦★✦

ნინოშვილი და მისი მეზობლები

სოფელ ჩანჩეთში, სადაც დაიბადა და დასაფლავებულია ე. ნინოშვილი, დღესაც ყველა მოხუცს ახსოვს ეგნატე და რაიმე, მეტად თუ ნაკლებად საინტერესო ეპიზოდს უთუოდ მოგიყვებათ მისი ცხოვრებიდან. მეც სოფელ ჩანჩეთელი ვარ, მაგრამ ეგნატე, რომ გარდაიცვალა, მაშინ მხოლოდ 7 წლის ვიყავი და თუმცა მახსოვს, ჩვენსას დადიოდა, როგორც მეზობელი და მამაჩემის სკოლის ამხანაგი, მაინც პირადი მოგონება ისეთი არაფერი მაქვს, შესანიშნავი იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ არ იქნება ინტერეს მოკლებული გაუზიარო მკითხველ საზოგადოებას ზოგი რამ, რაც მე მსმენია ეგნატეს შესახებ მოხუცი მეზობლებისაგან და აგრეთვე პირადი დაკვირვება, თუ როგორ გამოვლინებას — პოულობდა გლეხებში ჩვენი სასიქადულო ბელეტრისტის მოწინავე რევოლიუციონური აზრები. ეგნატეს საუბარი მეზობელ გლეხებთან ყოველთვინ გლეხობის საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდა; ეგნატე ყოველთვის ილაშქრებდა ყველა ჯურის მჩაგვრელთა წინააღმდეგ თავად აზნაურობა იყო ეს, სამღვდელოება, თუ ჩარჩი ვაჭრები. ის მუდამ უჩიჩინებდა გლეხებს, რომ ადამიანები ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ, რომ ბუნებას ერთი გლეხად და მეორე აზნაურათ არ გაუჩენია, რომ დადგება დრო, როცა წოდებრიობა მოისპობა ადამიანებისაგან ურთი ერთის ჩაგვრა. მგზავსი საუბრები გლეხებში ქმნიდენ ერთგვარ რევოლიუციონურ განწყობილებას. ეგნატეში გლეხები ხედავდენ გულითად მეგობარს, მათ მესაიდუმლეს, მათი ინტერესებისათვის მებრძოლს, ამიტომ პატივსა სცემდენ, ერთი ასეთი პატივმცემელთაგანი იყო **გიგო ურუშაძე**, კაცი მეტად პატიოსანი **და** საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი. ეს ურუშაძე 90-ან წლებში არჩეულ იქმნა ჩონჩხათის საზოგადოების მამასახლისად. მამასახლისობის დროს ურუშაძემ ჩაიდინა თავის დროისათვის რევოლიუციონური აქტი, — მან არ შეასრულა **ჯაბა გურიელის** ბრძანება, რომ აეწიოკებია ლარიბი გლეხი და როცა გურიელმა ურჩობისათვის მისი თვითნებური დასჯა განიზრახა ურუშაძემ წინააღმდეგობა გაუწია იარაღით და უკუაქცია მრისხანე გურიელი. ეს ფაქტი მით არის საინტერესო, რომ მაშინ ამ არაჩვეულებრივ ამბავს თურმე ყველანი სამართლიანად აწერდენ ეგნატე ნინოშვილის პროპაგანდის გავლენას, მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ინციდენტის გმირი.

სოფელ ჩანჩეთში იყო პატარა დუქანი, სადაც შაბათ საღამოებით იკრიბებოდენ სოფლელები და გაჩაღდებოდა ხოლმე საუბარი. ერთ ასეთ საღამოს საუბარი ჩამოვარდა ვაჟკაცობაზედ. ლაპარაკობდენ **სისონა დარჩიაზე** და სხვა ფირალებზე და ქება დიდებას ასხამდენ მათ უშიშროებას. ამ საუბართან დაკავშირებით ვიღაცამ მოიგონა გიგო ურუშაძის და ჯაბა გურიელის შეტაკება და სთქვა: „აბა იგიც კაი ვაჟკაცობა იყო ძმავ, ჩვენმა გიგომ რომ ჯაბა გურიელს კუდი ამოაძუებინა, არა ეგნატე ინგოროყვას ბრალი ქე იყო, იმან შეაქეზა და კინალამ ციმბირში ამოაყოფინა თავი“.

გლეხებმა სთხოვეს ურუშაძეს, რომელიც იქვე იყო, ეამბნა თავისი თავგადასავალი და ურუშაძე მოგვიყვა:

„მაშინ ჩონჩხათის მამასალხისი ვიყავი: ერთხელ მომივიდა ჯაბა გურიელის ბრძანება. რომ გოგია გუმბარიძეს ყოველ წელიწადს მოჰქონდა ნადელი 10 გოდორი სიმინდი, წრეულს ლმერთი გაწყრომია და ვალდებულების გადახდა დავიწყებია. გიბრძანებ ეხლავე გუმბარიძე ნოვობახტში ჩაგდე და სიმინდი ჩამაბარეო. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა, რადგან ვიცოდი, რომ საწყალი გუმბარიძე მთელი წელიწადი ავადმყოფობდა და თვით არ იყო ძმარიო და შიგ ჩავიდა წყალიო ისე დაემართა, ისიც ლატაკი იყო და ეხლა ქალი და ბალანაი სიმშილით იხოცებოდა; გურიელისათვის რა შავი ქვა უნდა მიეცა, როგორ უნდა გადამეხდევინებინა რამე. კანცელარიიდან რომ შინ ვბრუნდებოდი სულ ამაზე ვფიქრობდი. გზაში ეგნატე ინგოროყვა წამომეწია. უთხარი ასე და ასეა საქმე და რას მირჩევ მეთქი. ეგნატე ძალიან შისწუხდა. მერე მითხრა მე დაგიწერ ქაღალდსო. გაუგზავნე გურიელს და ეგებ აპატიოს გადასახადიო. მეორე დღეისათვის გამიმზადა ქაღალდი ისე იყო გამოყვანილი, რომ როცა წამიკითხა ვეიმედი მომეცა უსათუოდ მოალბობს გურიელი იოლს მეთქი. ხომ იცით ეგნატეს არ გაუჭირდებოდა ქაღალდის დაწერა. მარა არ გამართლდა ჩვენი იმედი. ჩემი მოხსენება რომ მიიღო გურიელმა დაამტრია თურმე იქაურობა ფეხების ბაკუნით და არ გასულა ნახევარი საათი, თვითონ მოირბინა კანცელარიაზე. ეზოში შემოსვლისთანავე ასტეხა ყვირილი: მამასახლისო გარეთ გამოვიდეთ. გამოვედი და მომახალა: მამაძალლო ყაზახო, ვის უბედავ ურჩობასო და გაშლილი მათრახით წამოვიდა ჩემსკენ საცემად.

მე ვიშიშვლე ლეკორი და მივაძახე: არ შესცდე გურიელო. ფეხი არ გადმოდგა, თუ არა გაგჩრი შუაში. მე მარტო გოგია ურუშაძე არ გიგონო. ჩოჩხათის საზოგადოება ვარ მეთქი.

გურიელი დაიბნა, არ მოელოდა. ერთი კი დამეჭადნა „სიმბირში ამო-



ე. ნინოშვილის საფლავი ს. ჩანჩეთში (გურია)

გაყოფინებ თავსო“ და წავიდა. დიდ ხანს მეშინოდა ან დააჭერინებს ჩემს თავს მთავრობას და ან ვინმეს შეიყიდის და მომკლავს მეთქი. მარა ქე გადავრჩი. ჯაბა გურიელს თავი ვაკაცად მოჰქონდა და ამ საქმის გამჟღავნება ერცხვინებოდა. იმიტომ ველარ მიჩივლა. ისე მოკვლაც ველარ მომიხერხა და ქე შემრჩა ხახვსავით.

ეს ამბავი იმ დროს გლიხობაში დიდი მითქმა-მოთქმის საკითხი გამხდარა. ზოგნი იძახდნენ: ყოჩაღ მამასახლისო, ასეთი უნდა მამასახლისი. ზოგნი ამბობდენ დაღუპა ცოლშვილი. გაგიჟებულა საწყალი. ეგნატე ინგოროყვას გაუგიჟებია. გურიელს როგორ გაუბედა წინააღმდეგობაო.

მეორე მეზობელი, რომელიც ეგნატეს გავლენით გახდა ულმერთო დ: ებრძოდა ეკლესიას და ხუცებს იყო გლეხი სეფე კასრაძე.

„სულიწმინდის მოფენის“ დღეს კასრაძემ გაბედულად შეუტია სოფელ ჩანჩეთის ეკლესიის მღვდელს გიორგი სალუქვაძეს: „მღვდელო რეიზა შობი ასეთ ბოროტებას, რეიზა ატყუებ ამ ხალხს, რეიზა უნდა სავალდებულოდ საფლავს და საკურთხის მოტანას, ხომ იცი, რომ ზეციერთს ჭადი და ტარასი არა აქვს და აქ კი შენ ხაჭაპურები და ქათმები უნდა გიზიდოს. სად არის სამართალი. ამ ყრუებს თუ არ ესმის, შენ თვითონ ხომ იცა ჩვენისთანა ბალი და არავისი წაწყმენდა და ცხონება შენ არ შეგიძლია. ჯერ [illegible] რეი, ეს ყველანი [illegible] ციის დასამონავებლად არის, გამოგონილი და ვსთქვათ, რომ იყოს შენი რეიზა უნდა დაიჯეროს ოთხო ვინემ სხვისი. რა საჭიროა შენი შუამდგომლობა?“ ღვდელი გააკვირვა და თანაც გააბრაზა გლეხის მიერ სარწმუნოების წინააღმდეგ ასეთმა გალაშქრებამ, შეურაცყოფილმა ოქმის წერას მიჰყო ხელი. მაგრამ ხალხი ჩაერია საქმეში და ღვდელს სთხოვეს ეპატიებინა:

— მამაო, გაგიჟებულა საწყალი ბარ იცის რას ლაპარაკობს, შეიბრალე მისი ცოლშვილი და პოლიციას ნუ გადასცემ საქმესო.

ღვდელი დაკმაყოფილდა მისი ვინაობა გამოცხადებით და აპატია.

კასრაძე გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული. ჭირისუფლებმა ჩვეულებისამებრ საზიარებლად მოუყვანეს ღვდელი, იფიქრეს სიკვდილის წინ იქნებ შეიცვალა შეხედულებანი. მაგრამ მან ღვდელი არ მიიღო.

სრულიად უსწავლელმა მოხუცმა ალექსი ინგოროყვამ თავის ძმის წულის ეგნატეს რევოლიუციონერი პროპაგანდა საკმაოდ აითვისა; მან გასწყვიტა კავშირი ეკლესიასთან და ღვდელთან. სოფელში ყოველგვარი კულტურული წამოწყების დიდი ინტუზიასტი იყო. ალექსი ხშირად წამოაყენებდა საკითხს სოფელში გაზეთების გამოწერის და კოლექტიური კითხვის შესახებ; ხანს გაჭირვებულ მეზობლის დახმარებით ან ლარიბი მოწაფისათვის ფულის მოგროვების იდეას წამოაყენებდა და რომ სხვები წაეხალისებია პირველი თვით გამოაცხადებდა:

ამხანაგებო თქვენ იცით ჩემი ლარიბი ქისის ამბავი, მაგრამ ამ საქმისათვის ამდენსა და ამდენს გადაგდებო. მას სხვები მიბაძავდენ და საქმე კეთდებოდა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. სილ. თოდრია სიტყვას ამბობს ს. ჩანჩეთში, ეგნატე ნინოშვილის საფლავზე.
ს. ჩანჩეთის კოლმეურნე ახალგაზრდობა ე. ნინოშვილის გარდაცვალებიდან 40 წლის თავის აღსანიშნავად მიტინგზე

საქ. საბჭ. მწერლების დელეგაცია ეგ. ნინოშვილის სოფელში

ხახედან: (მარჯვნიდან მარცხნივ): ალ. მაშაშვილი, ლ. ქუთათელი, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. ამბროსი რამიშვილი, ბესო ჟღენტი, ამხ. სილ. თოდრია. **დგანან:** კონსტ. ლორთქიფანიძე, პანტ. ჩხიკვაძე, სანდრო ეული, ნიკო ლორთქიფანიძე.

ნინოშვილის სოფელში

მწერალთა კავშირის დავალებით ჩამოვედი ლანჩხუთში, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო ეგ. ნინოშვილის გარდაცვალებიდან 40 წლის თავი მივდივარ სოფელ ჩანჩეთის გზაზე, თან მომყვებიან ადგილობრივი ამხანაგები.

*
**

ერთი მოხუცებული მიყვება ეგნატეს შესახებ: ეგნატე მე წერა-კითხვას მასწავლიდა, გვარიგებდა.. ღედელთან ცუდ განწყობილებაში იყო. ერთხელ ეკლესიაში შემთხვევით შესულიყო მისი პატარა ძაღლი. „ღვთის მოსავები" და ღვდელი ამხედრებულან ეგნატეს წინააღმდეგ: შეხედეთ რას ჩადის, ეკლესიაში ძაღლი შემოჰყავს, შეურაცყოფას აყენებს ღმერთს. ძაღლს გულკეთილმა მლოცველებმა სასტიკად ცემა დაუწყეს. ეგნატემ მიმართა მაშინ გაბოროტებულთ: რას ერჩით ძაღლს, რომელსაც არავინ გაუტყავებია და არავინ დაუშავებია, აი ღვდელი, რომელიც ყველას ატყავებს ახლად ოაბაიიბულ—მიცვალებულს, დაქორწინებულს და მოზიარეს, ის არის ნამდვილი ქოფაკი და ძაღლი...

ბევრი რამ მიამბო ეგნატეს შესახებ ჩემმა შემთხვევითმა მოსაუბრემ. ასეთი საუბრით მივადექით ეგნატეს სახლს, სადაც ის ცხოვრობდა და გარდაიცვალა. გული რაღაც გამოუთქმელი მოელვარებით ამივსო. პატარა ეზო ამწვანებული, პატარა სახლი, აივანი. ეზოში დიდი მსხალი და კოპიტებია, გვირდით ჩამოუდის პატარა მდინარე. მოგვეგება ეგნატეს და და მისი ძაღლი მოხოცებული ბიცოლა. მოკრძალებით შევდივარ ოარიბ ოთახში; მარჯვენივ კედლის გასწვრივ თაროებზე აბრეშუმის ჭია შრიალით სჭამს მეოლის ფოთოლს. კედელზე კიდია ეგნატეს სურათი, პატარა ლოგინი კუთხეში. აქ იწვა ეგნატე და სასიკვდილოთ ახველებდა. ჭერზე დარჩენილია ევერიის ნახევები, იქნებ ეგნატეს ხელით გაკრული.

*

დალონებული მივდივარ ამ ეზოდან. ჩემი თანამგზავრი გზა-გზა მიჩვენებს ლირსშესანიშნავ ადგილებს.

— აი, შორს რომ მთა მოსჩანს, იმის წვერზე ეგნატეს ალმოუჩენია წყარო. ეს წყარო მანამდე არავის სცოდნია. ეგნატეს წაუღია ამ წყლის ნიმუში ტფილისში და გამოურკვევია, რომ ის ციებას უხდება. საკმარისია კაცმა ორჯერ-სამჯერ შიგ ტანი დაიბანოს, რომ ის სამუდამოთ განიკურნებაა. სამწუხაროდ ახლა ამ წყალს ყურადღებას არავინ აქცევს. მე შევპირდი ჩემ თანამგზავრს, რომ ამ უბარი წყაროს შესახებ დავწერდი გაზეთში. ჩვენ ნელა მივდივართ ეგნატეს საფლავი საკენ.

— სიმონ ძალაძე — განაგრძობს ჩემი მოსაუბრე ამ ტყეში იმალებოდა. მე ვუცქერი ამ იდუმალ



ეგნატე ნინოშვილის ოთახი ს. ჩანჩეთში

ტყეს, რომელიც მოსჩანს შორეულ გორაკზე.

გზაზე გვხდებოდენ მოწაფეები და კოლმეურნეები. ზოგი გზას აკეთებს, ზოგი აშენებს გზაზე მისასალმებელ თაღებს. ამკობენ მწვანით ყვავილებით და ეგნატეს სურათებით.

შევისვენეთ ერთი გლეხის ეზოში. ამ გლეხთან მიუბარებია ეგნატეს საიდუმლო მიმოწერა. რომ ეკ ვები არ ეცოლოთ განგებ დამდურებიან ერთმანეთს და საზღვრების თა ობაზე საჩივარიც კი შეუტანია ამ გლეხს.

როცა საზღვარ გარეთიდან ჩამოვიდა ეგნატე — მიამბობს ჩემი თანამგზავრი — გზაზე და საზღვარზე სასტიკი ჩხრეკა ყოფილა. ეგნატის ქიმიური ფანქრით დაუწერია თავის „პაგრამა" საცვლებზე. როცა შინ ჩამოვიდა, სოველ ტილო წაუსვა თურმე საცვლებს და ამრიგად აღადგინა რაც ჩაეწერა საზღვარგარეთ.

ასეთი საუბრით მივადექით ეგნატეს სასაფლაოს. პატარა გორაკიდან შესანიშნავი პანორამა მოსჩანს. ზეგნებზე ჩაის ნერგები სწორ ხაზებათ სჭრის ფერდობებს, ეზოები სავსეა ხეებზე აშვებული ვაზით, მანდარინებით და ლიმონით. იცვლება გურიის სოფელი. ის უკვე შეცვლილია. ნინოშვილის გურია უკვე ჩაბარდა ისტორიას. კოლექტივში გაერთიანებულია გურიის გლეხობა. გლეხს მტკიცედ აქვს შეგნებული კოლექტივის უპირატესობა, ის მტკიცედ სდგას კოლექტივიზაციის და შეძლებული ცხოვრების გზაზე. რაიონში ბრავალია ისეთი ოჯახი, რომელსაც ათასი ფუთი ხორბალი აქვს მიღებული ჩაის და მანდარინის ონტრაქტაციის ძალით. აშენებულია ჩაის ქარხნები, სადაც ადგილობრივი კოლმეურნეები მუშაობენ. ეს საქმე ახალია, მაგრამ სულ ახლო მომავალში გურია სუბტროპიკულ მცენარეების ბაღათ გადაიქცევა.

ეგნატეს საფლავზე სდგას რკინის მოაჯირი, საფლავი ოვლილია. მხოლოდ ძეგლი არ არის. ეს გარემოება მეტად აწუხებთ ჩანჩათის კოლმეურნეთ.

საფლავთან შენდებოდა ტრიბუნა, აწყობდენ რადიო მიმღებს. ხვალ მთელი გურია მოისმენს ეგნატეს საფლავზე გამართულ მიტინგს.

მეორე დღეს, 13 მაისს ჩამოვიდა მწერალთა დელეგაცია: ამხ. ამხ. სილვა თოდრია (თავმჯდომარე), ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, დ. ბუბგელია, ბ. ფულენტი, პ. ჩხიკვაძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. ქუთათელი, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაშვილი.

უკვე დილიდან სადგურ ჯუმათს მრავალი ხალხი მოაწყდა. ჩქარ მატარებლის ვაგონს, სადაც იმყოფებოდა დელეგაცია, ყველამ მიაშურა.

ავტომობილებით, ეტლებით და ფეხით გავეშურეთ საფლავისაკენ... ტრიბუნაზე ადის რაიკომის მდივანი —ამბროსი რამიშვილი. რომელიც ფართოდ ახასიათებს ნინოშვილის დროს, მის მოღვაწეობას. სიტყვას რეპროდუქტორების საშუალებით უსმენს ხალხი. შემდეგ გამოდიან მწერლები, ადგილობრივი კოლმეურნეები, ეგნატეს თანამედროვენი, მისი მოწაფეები.

ეგნატეს არ მოესწრო ხალხის გამარჯვების ხილვა, მაგრამ გამარჯვებული ხალხი ახლა მის საფლავთან მოწიწებით ხრიდა თავს.

მიტინგი საღამომდის გაგრძელდა. ხალხით სავსე იყო ცაცხვებით დაჩრდილული გორაკი.

გვიან საღამოს ლანჩხუთის თეატრში წაკითხული იქნა მოხსენება ეგნატეს შემოქმედებაზე, ს. თოდრია თავის მოხდენილი სიტყვით აღტაცებას იწვევს დარბაზში. ნიკო ლორთქიფანიძე მოკლეთ და ზუსტად სახავს დღევანდელი მწერლობის ამოცანებს, შალვა დადიანი კითხულობს ნაწყვეტს თავის პიესიდან „ნინოშვილის გურია". სანდრო ეული და მაშაშვილი კითხულობენ თავიანთ ლექსებს.

მიქელ პატარიძე.



ეგნატე ნინოშვილის სახლი სოფ. ჩანჩეთში



ს. ჩანჩათის კოლმეურნეები ამზადებენ ტრიბუნას ე. ნინოშვილის 40 წ. თავის ალსანიშნავ მიტინგისათვის

ამხ. ს. თოდრია ნინოშვილის სოფელ ჩანჩეთში გვერდით ამხ. ა. რამიშვილი



საბჭოთა მწერლები, ნინოშვილის სოფელში
სურათზე: ნ. ლოგრთქიფ ანიძე და შ. დადიანი

ეგნატე ნინოშვილს

როცა ხალხის ბედიღუბანი,
მისი სვე და მომავალი,
სასოება, სათნოება,
კანონი და სამართალი,
მუქთახორათ მსახვრალ ხელით
იყო ტანჯვით მზე გამქრალი,
და სიმართლეს დასცინოდა
ბოროტება სისხლით მთვრალი;
როცა ბლეხი მიწის მუშა,
შრომით წელში მოკაკული,
ბატონისა მიწა-წყალზე
იყო მონად მიჯაჭული,—
როცა ირგვლივ იფრქვეოდა.
ცხარე ცრემლთა ნაკადული
ჯოჯოხეთად ქცეულიყო
ალეთ სიცოცხლე დატანჯული,—
როცა ძველი გზა და ხიდი.
ახალ ყოფნით იცვლებოდა.
ძველი კერა და ოჯახი
ირღვეოდა, იშლებოდა.
და „ქრისტინე"-ს ტანჯვის სახე
ტანჯვის ჩიხში იზრდებოდა
ნამუსი და სამართალი
ეროწყალოდ იხრწნებოდა
მაშინ მოდი შენ მგოსანო.
მაშინ გაჰკარ სიმებს წკირი.—
თვისი ბედი დაჩაგრულმა
შენს ჩონგურზე დაატირა.
ბაგრამ შენი ცივჩილის სიტყვით,
ბოროტება გაიგმირა
და იმედით ახმაურდა
ვინც იმისგან გაიწირა
ვინც მანამდე ნებიერად
თავს სიბნელეს აფარებდა,
დაჩაგრულთა გასაჭირზე
ნეტარებით ხარხარებდა,—
შიშით შეკრთა. იგრძნო ბედი
გულში ნესტარს აპარებდა.
რომ შენი ხმა შრომის შვილებს.
მომავალით ახარებდა..
და აღსრულდა, შენს ძახილზე
ახმაურდა შენი ერი,
შემოსძალა ახალ ყოფნის
შვების მრავალჟამიერი
შიშით წელში მოიკაკვა
მატყუარა და ცბიერი.
მკვდრეთით აღსდგა შენი ხალხი
მარად შენი ხალხი
მარად შენი მადლიერი...
მაშ იხარე, ინეტარე,
დიად მცნების მოციქული,
ბრძოლის ჟინით. ბროლის ცეცხლით
აღგზნებული მგოსნის გული.
არა რაა იგი ტანჯვა
რომელ ტანჯვით შენ დაეცი.
რადგან უკვდავ მომავალსა
უკვდავება გადაეცი.

სიო ხიდისთაველი.

პირველი მაისი მოსკოვში:
სურათზე: ამხ. ამხ. ვოროშილოვი, ბუდიონი და ტუხაჩევსკი

კოლხიდის თვალი

რ. ქორძიას ნარკვევი

ფლავიუს არიანუს, იმპერატორების ადრიანის და ანტონინის კაპადოკიელი ლეგატი, მოგვითხრობს, რომ მან ფაზისში არგონავტების ხომალდის ღუზა ნახა. ლეგატი არრიანუს ყოფილა კოლხიდაში 11 ს. ქრ. შემდეგ, დაათვალიერა ციხე-სიმაგრეები. ფაზისში მაშინ მდგარა გარნიზონი 400 კაცისაგან შემდგარი, ქალაქს ორი თხრილი ჰქონდა შემოკლებული, გალავანი აგურისაგან იყო გაწყობილი. საგაჭრო ადგილი ჰოთაღსებულ ყოფილა მეორე თხრილთან.

ჰიპოკრატემ რომელმაც 5 ს. ქრ. წინ იმოგზაურა ჩვენში, ნახა კოლხიდაში საშინელი ჭაობი, აყროლებული წყალი, უმწიფარი ხილი, უწესო და გაბერილი ხალხი. ჭაობმა გაჩინა ციება, ციებას ხალხმა უჟმური უწოდა. უჟმური ახრჩობდა ხალხს. უჟმური გადაიქცა სიბოროტეს, ავიზნის, სიბრიყვის ეპიტეტად. კოლხიდაში ავკაცზე ხალხი იტყვის „უჟმური“.

ოქროს ვერძის ლეგენდას უჟმური შემოეხვია და მოყვებოდნენ ორივე საუკუნოებს. და სევდით იყო მოცული კოლხიდის ბიწა. გაიტაცეს ოქროს ვერძი, მას თან გაჰყვნენ კოლხიდის ოქროს დღეები, დარჩა უჟმური, და ციებისაგან გამოწყლეული სევდა...

დრონი იცვლებიან.

ფაზისი ფოთად გადაიქცა.

წავიდნენ ფაზისის ამშენებლები—მილიტელები. წავიდენ რომაელები, თუ ჰეროდოტეს დაუჯერებთ ყოფილან აქ ეგვიპტელები და ისინიც წავიდნენ. იყვნენ სკვითები, ბაზანტიელები. წავიდნენ მაგრამ რჩებოდა აქ ვაჭართა თვალი. სპარსელების, არაბების, მონღოლების დროსაც აქ იყო აღმოსავლეთის საგაჭრო, გზის კარი. 1453 წელს ეს კარები ჩაკეტეს თურქებმა. შეიცვალა ბაზრის რუკები. საგაჭრო ასორტიმენტიც შეიცვალა საზღვარგარეთ ხილის, გემთსაშენი მასალის, ყანაფის, სელის, ცვლის, კუპრის, სპილენძის და სურლენოვანი ზეთის ნაცვლად ახალგაზრდა ქალვაჟთ ეზიდებოდნენ. ვაჭრობა საროფიანი იყო. მართალია, ხალხს შვილები აკლდებოდა, მაგრამ ღორმუცელა თავადებს ფულები ემატებოდათ...

დაჰკრა ჟამმა და რუსეთის მეფემ ქოსლი დააბიჯა. ქალაქს მეფის თან მოყვა ვაჭარი, პოლიცია და მათრახი, ბრწყინვალე თავადებს მბარზე ეპოლეტები დააკერეს. ხალხს კი ზურგზე ტყავი ააძვრეს. დაიკლაკნა კოლხიდა, მაგრამ არ იყო მეფის ჩექმა და კარებშეხსნილი ქალაქი ყველა ჯურის კაპიტალისტებს გაუღეს.

ჭიათურაში მარგანეცი და შავი ქვა გაჩნდა, ჩამოვიდნენ ფოთში ბერძნები **მანალოპულო და ავგერი-**

ნო, გერმანელთა **გელეზენ კირხენის** საზოგადოება, ინგლისელები **ფორვედო და სელარო**, წამოაყენეს კვაჭლიანი და უიალქნო გემები. ჩაუშვეს მათ კუჭში ხალხის სიმდიდრე და ევროპისკენ გაუძახეს. არც ერთ მათგანს. გარდა გომერისა, არაფერი გაუშენებია ფოთში. გომერმა ერთი სახლი გააშენა. გემების დატვირთვაზე მუშაობდენ სომხები, თურქები, სპარსელები, ქართველები. ესენი მთელი დღეების განმავლობაში გამურულნი, წელში მოღუნულნი მუშაობდნენ კაპიტალიზმისათვის. საღამოს კი თავს იყრიდნენ სამიკიტნოებში. სამიკიტნო ბევრი იყო ძალზე ბევრი. აქ თამაშობდნენ ნარდს, ბანქოს, დომინოს, სვამდნენ, ლოთობდნენ უკრავდნენ არღანს. ტრიალებდნენ ხანჯლები, ბებუთები, კასტეტები.

ყვირა-უქმე დღეებში ყველანი გამოეფინებოდნენ ეკლესიებში, ბულვარში და სამიკიტნოებში. აქ იყო 4 ეკლესია, 5 საპოლიციო უბანი. 5 სარესკიპი და არც ერთი თეატრი, არც ერთი კულტურული კლუბი. პოლიცია ერთმანეთს უსვამდა სომხებსა და თურქებს, შემდეგ აზავებდა და იღებდა ქრთამს.

ასე მეფობდნენ ქალაქში ჯვარი, მათრახი და სამიკიტნო. ეს იყო მეფის რეჟიმის სამკუთხედი.

ქალაქში იყო კონკა. ება გაძვალტყავებული ცხენები. ცხენები ხშირად წაიქცეოდნენ. მგზავრები ჩამოხტებოდნენ, მივარდებოდნენ ცხენს და ააყენებდნენ ყვირილითა და ჩხავილით.

ყოველ წელს გადმოვარდებოდა რიონი ნაპირებიდან, შეესეოდა ქალაქს. მაშინ ფოთში ნავებით დადიოდნენ, რიონი დასტოვებდა გუბეებს. გუბეები გაივსებოდნენ ბაყაყებით და იყო დამაყრუებელი დაუსრულებელი ყიყინი. მიეთრეოდა უსულო, უგულო, უხინდისო ცხოვრება 12.000-ნი ქალაქისა. ამ ცხოვრებას შავი ზღვიდან ოქროს ვერძის დანისლული ლეგენდა უყურებდა, ხოლო კოლხიდის ჭაობიდან საშინელი უკმური.

რევოლიუციამ ორთავიან არწივს ფლანგები დაჭრა, თვალები დასთხარა და ისტორიის სანაგვეში გადაუძახა.

ფოთი გამოცოცხლდა. მაგრამ არსებითად კი არაფერი შესცვალა: ვაჭრები ვაჭრებად დარჩნენ, მუშები მუშებად. მდიდარი მდიდრად და ღარიბი ღარიბათ. არწივის ნაბუდარზე წმინდა გიორგის რაში შედგა.

ისევ იდგა ჭაობი, ისევ თარეშობდა უკმური, ისევ ნამტირალევი თვალებით იმზირებოდა შორიდან დანისლული ლეგენდა.

შორს რუსეთში დიდი ოქტომბრის ცხოვრება გუგუნებდა, აქ კი პატარა ჭაობიან ქალაქში ციებიანი ცხოვრება ჭიასავით მიხოხავდა. ერთხელ ახმაურდა ეს ჭაობი: 1919 წელს ფოთში დენიკინის ინტერნირებული ჯარები გადმოსხეს, გაჩნდნენ ბაგონეტიანი გენერლები, ოფიცრები, მათრახიანი კაზაკები. ქალაქს გააცივა, მაგრამ რადგან ციებას შეჩვეულ იყო, მეორე დილესვე შეეჩვია დენიკინელთა მედიდურ და დამცინავ ტონს. ჭაობი ისევ დაწყნარდა; როცა დენიკინელები თავისი ფრონტისაკენ წავიდნენ, მახსოვს; დენიკინის ჯარებმა მეფის სიმღერებით და დროშით ჩაიარეს ქალაქში.

შეურაცყოფილი წმინდა გიორგი შეუბმოღერებული უყურებდა აქ ჯარებს და ვერაფერი გაუბედა.

მიღოლავდა ჭაობიანი ცხოვრება, ასე იყო მანამ, სანამ მოვიდოდა დიდი ოქტომბერი და გააღებდა დიდი ცხოვრების კარებს.

ფოთს, როგორც ყოველ თავმომწონე ქალაქს, თავისი პასპორტი აქვს. თუ ქალაქის პასპორტს დავუჯერეთ

ს. კ. პ. (ბ) ფოთის რაიკომის მდივიანი
ამხ. **გ. მალანია.**



ფოთის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე
ამხ. **ვ. ფაჩულია**

ქალაქი გაშენებულია 1858 წელს, ხოლო ფოთში არის მუზეუმი, მუზეუმში დაცულია რკინის გასალები. ეს გასალები ჩააბარეს **[illegible]** ქალაქი. ციხის ჩაბარებისას გასალებზე აწერია, რომ ფოთი აშენებულია [illegible]სების ბიერ 1828 წელს...

ფოთის სიმაღლე ზღვის დონიდან ნახევარ მეტრს უდრის, ზოგან 2 მეტრს. საშუალო წლიური სითბო 14,C გრადუსია, იანვრისა 6,7 გრ., ივლისის 23.6 გრ.

საბჭოთა ფოთს უჭირავს 3.156 მიწა, ყავს 16.285 სული მცხოვრები აქვს ერთი აკადემიური თეატრი, ორი სარაიონო, 10 კლუბი, 1 მუზეუმი, 1 საბავშო თეატრი, არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი...

არ არის არც ერთი სამიკიტნო... მათ ნაცვლად 17 საზოგადოებრივი სასადილოა გახსნილი.

ძველი ჭაობიანი ცხოვრება ჭაობიანი ქუჩებით დადიოდა: ლოლის ქუჩების უმრავლესობა მოკენჭილია. მოკვდა კონკა. დადიან ავტობუსები. ქალაქი ემზადება წყლის ტრამვაისათვის ადგილობრივი მიმოსვლის ჰაერო პლანებისათვის (რაიონის ფარგლებში და სარაიონო შორისო), აშენებს სასტუმროებს, აშენებს აბანოებს წისქვილ-ელექტრონს, რომელიც მოემსახურება მთელ ამიერ-კავკასიის ფედერაციას, აშენებს კომუნალურ სახლებს. აქვს მრავალი ქარხანა. სახერხი, მაცივარი, ლოლილების, ტყავის; დილფინის; თევზის კომბინატის; ხილეულტმწყლების, კოლხიდმშენის. გაშენდება ტარის, ლურსმანის, ბენზინის გადამუშავების ეთეროვანი ზეთის გამოხდის ქარხნები. პურის ქარხანა, ლუდის ქარხანა, საკანდიტრო ქარხანა.

ფოთის ქალაქის საბჭოში ზის ძველი მტვირთავი მუშა, ამხ. **ვანო ფაჩულია** წინად იგი კაპიტალისტების გემს ტვირთავდა, ახლა კოლხიდის ახალ მიწას გვირთავს ახალი ქარხნებით, ახალ სახლებით, ციტრუსოვანი და სუბტროპიკული კულტურით... ახლა ამხ. ვანო საბჭოს თავმჯდომარეა და მტკიცედ იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის.

ბოლშევიკები შეესიენ ჭაობს დაუწყეს ამოშრობა. დღეს თვით ფოთი ჭაობში ადარ დგას. იგი ამოაშრეს. ახლა ჭაობს ქალაქის გარშემო აშრობენ. მოდის ციტრუსების კულტურა ლამაზი, ხვავიანი, თავისუფალი შრომის. მოდის და თან მოაქვს ხალსი, სიცილ, სიმღერა.

იცვლის კალაპოტს რაიონიც — ძველი ფაზისი.

იგი ახალი კალაპოტით გაემართება შავი ზღვისაკენ.

რაიონი გადარჩება წყალდიდობას და ქალაქს აშორდება ეს ჭირი, რომელიც აწუხებს მას და ხელს უშლი-

და მის ნორმალურ ცხოვრებას და განვითარებას.

ზღვიდან რაიონს გაუჭრიან ახლ ქალაპოტს. საკავშირო მთავრობის კომისიამ ამხ. კუიბიშევის თავმჯდომარეობით 1934 წლის 24 მარტს უკვე დაამტკიცა ეს გეგმა. ქალაქი ფოთი რჩება რაიონის გარეთ, იგი მოემწყვდევა ზღვისა და ზღვის ტოტს შორის, რადგან რაიონის ძველ ქალაქპოტში ზღვა უნდა გამოვიდეს. რაიონის გადაგდების ადგილას გაშენებულ იქნება ვეებერთელა რკინის გზის ხიდი, ნორტ-მოსამზადებელი მუშაობისათვის ამ წელს უნდა დაიხარჯოს 5 მილიონი მანეთი.

წინათ ფოთში ერთი კერძო საავადმყოფო იყო. ისიც ხან ღია იყო, ხან დახურული ახლა 4 საავადმყოფოა კულტურულად მოწყობილი და მოვლილი.

ს.კ.პ. (ბ) საკავშირო ყრილობის წინ ფოთის ბოლშევიკებმა საქალაქო კონფერენციაზე სიტყვა მისცეს პარტიას, რომ იბრძოლებენ „ფუთის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, კოლხიდის ჭაობის ამოშრობისათვის, სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურის განვითარებისათვის, ამ კულტურათა მაქსიმალური მოვლისათვის და მათი საუკეთესო მოსავლიანობისათვის .

ცნობილი მითი ოქროს ვერძის შესახებ თაობიდან თაობაზე გადადიოდა. საუკუნოების ჭარცეცხლმა არგონავტების გემს იალქნები დაუცვრიწა(ნიჩბები დაულეწა, მეკიდები შეუმტვრია, მაგრამ კოლხიდის ხალხის მესხიერებაში მაინც ბინაობდა ეს გემი, ის თითქოს ... შორეულ რეიდზე.

ფოთი კოლხიდის თვალია.

შავი ზღვის სილურჯე გადაჰკრავს მას. ციტრუსების ქუთოთოებზე მოჭარგულია ეს თვალი, ამ თვალით გასცქერის კოლხიდა შავ ზღვას, ღა ხედავს, რომ დანისლული ლეგენდა ძველმა ხომალდმა უკვე ასწია დაფხრეწილი იალქანი.

შვიდობით გაყვითლებულო წარსულო...

გამარჯვება მწვანე ციტრუსებით აყვავებულო მომავალო...



ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ Მ. ᲒᲝᲠᲙᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲜᲘᲙᲘᲢᲐ ᲘᲖᲝᲢᲝᲕᲘ

ᲔᲒ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲗᲖ. ᲓᲝᲚᲘᲐᲕᲘᲚᲘ

ხად, ჯალათ მეფის შავი რაზმები
ცეცხლს უკიდებდენ სოფლის ნაპირებს,
აჯანყებული მძაფრი აზრებით
გული აგენთო, როგორც საკირე.
ხადაც ისმოდა ჩაგრული ხალხის
განუწყვეტელი წივილ-კივილი,
შენ ამ წყლულის წინ ცრემლით თავს
დახრი
ალშფოთებული გულის ტკივილით.
ამბოხდა გული, მათებრ ჩაგრული—
ხელში აიღე კალამი გესლით,
შეჭრიბე ხალხის მრავალი წყლული
უუმბარებივით,—მტერს გულში ესვრი.
ხალხშივე იყო შენი აზრები,
იყო და ამ ხალხს წინ მიუძღოდა,
ვით ჭერქვეშელი ბოლშევიკები
ეგ, მოთხრობებიც ისე იბრძოდა!
შენი სახელი თუ არ შეირყა,
მისთვის რომ იყავ ჩაგრულთ მწერალი,
შენი მოთხრობის ყოველი სიტყვა
სისხლი იყო და არა მელანი!
შენ ალმართული ოიროშა იყავ და
იფერფლებოდი მძიმე ცხოვრებით,
მშრომელთა შვილო, ხალხი გიყვარდა—
მათ საუკუნოთ ემახსოვრები!..

მხურვალე სალამი სანდრო ეულს! ლიტერატორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული-ბიოგრაფიული ცნობები

ვ. ლუარსამიძე

სანდრო ეულის პოეტური შემოქმედების გაგებისა და მისი საზოგადოებრივი ლიტერატურული მნიშვნელობის შეფასებისათვის აუცილებელია მისი წარსულის ცოდნაც.

სანდრო ეულის ბიოგრაფია განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ გავეცნოთ როგორ დაუკავშირა მან ორგანიულად ერთმანეთს რევოლუციური და სამწერლო საქმიანობა ჯერ კიდევ პოლიტიკური რეაქციის წლებში.

სანდრო ეული ქართული პროლეტარული პოეზიის პიონერია. ჯერ კიდევ 1909 წელს დაისტამბა, რის შემდეგ მას, როგორც იტყვიან, კალამი ხელიდან არ გაუგდია.

სანდრო ეული (ქურიძე) დაიბადა 1890 წლის 23 ოქტომბერს (ოზურგეთის მაზრაში) სოფელ ზომლეთში. მამა მისი უმიწაწყლო გლეხი იყო, ჭალადიდის ტყის მუშა, რომლის სიკვდილის შემდეგ დედის ამარა და რჩენილი სანდრო აუტანელ ნივთიერ პირობებში იზრდებოდა.

სოფლის სკოლაში სანდრო წარჩინებით სწავლობდა მშრომელი გლეხკაცობის დახმარებით სანდრო ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ახერხებს შესვლას; ამ დროს სამოქალაქო სასწავლებელთან არსებობდა საძეურნეო სკოლა, სადაც სანდრო სწავლობდა და საიდანაც მას 1905 წ. ცნობილი რეაქციონერი და რუსიფიკატორი, სასწავლებლის ინსპექტორი მესნიცკი ითხოვს, 1905 წელს ოზურგეთში მომხდარ მოწაფეთა გამოსვლების მონაწილეობის მიღებისათვის. ამის გამო პოეტმა შემდეგი ლექსი „უძღვნა“ ხსენებულ შავრაზმელს:

„პირსისხლინო რა შეგშურს ჩვენი
განა სიმღერა შრომის და ბრძოლის
არ გვინდა ვიყოთ ტანჯვის ამტანი
ცეცხლი გვიღვივის გულში სიცოცხლის“.

1907 წელს სანდრო ეული რამდენიმე თვე მუშაობს ჩაქვში შავ მუშად.

1908 წელს სანდრო შედის ფოსტალიონად ფოსტა-ტელეგრაფის ჩოხატაურის განყოფილებაში. 1909 წელს სანდროს ფოთში ვხედავთ, სადაც საშუალო ცოდნის მიღებისათვის ემზადება. ფოთში სანდრო ნავთსადგურის მუშების ცხოვრების აუტანელ პირობებს ეცნობა.

საარსებო სახსრების უქონლობის გამო სანდრო ფოთში ცხოვრებას ვერ ახერხებს და ბაქოში მიემგზავრება, სადაც იმ დროს მუშაობდა ძველი ბოლშევიკი ანდრო დოლიძე, რომელიც ყოველგვარ დახმარებას უწევს პოეტს. ორი წლის განმავლობაში სანდრო იყო გაზეთის გამყიდველი (იხ. ლექსი „სიმღერა გაზეთის გამყიდველისა“), შავი მუშა ბალახანის ელექტრო სადგურში, რკინის გზის დარაჯი, შოლარის წყალსადენის მუშა და სხვ.

ბაქოში ყოფნის დროს 1910 წლიდან სანდრო ეული ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც ატუსაღებენ მას და ბაილოვის საპყრობილეში ათავსებენ. ბაქოში იმ დროს გამოდიოდა საპოლიტიკო სალიტერატურო ქართული ჟურნალი „წყარო“, რის ერთ ერთი ორგანიზატორი და აქტიურ თანამშრომელი ამხ. სანდრო ეული იყო.

ყოველკვირეული ჟურნალი „ჩვენი წყარო“ გამოდიოდა 1913 წელს. ამ ჟურნალს პირველად „წყარო“ ერქვა, მეთერთმეტე ნომრის შემდეგ ამ ყოველკვირეულს სათავეში ფილიფე მახარაძე უდგება და ეწოდება „ჩვენი წყარო“.

მენშევიკების ბატონობის დროს ის ითვლებოდა გაზეთ „კომუნისტის“ ოფიციალურ რედაქტორად. 1920 წელს მენშევიკებმა ეული დაატუსაღეს და ქუთაისის საპყრობილეში გადაგზავნეს, ქუთაისიდან კი ბათომის საპყრობილეში. სადაც მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოუსწრო.

საქართველოში მენშევიკების დიქტატურის დროს სანდრო ეული პატარა ჯგუფს ქმნის, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციასთან კავშირის დაბმა, რუსული პროლეტარული მწერლობის გაცნობა და მხატვრულ-ლიტერატურული გამოცემების გავრცელება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე ეული, სხვა ამხანაგებთან ერთად (ს. თოდრია, ი. ლისაშვილი, ი. ვაკელი და სხვ.) ხელს კიდებს საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის ორგანიზაციის საქმეს.

1921 წლის 17 დეკემბერს ჩამოყალიბდა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რის ხელმძღვანელობაც ეულს დაეკისრა. იმ ხანებში ასოციაციის ბეჭდვითი ორგანოდ ითვლებოდა ჟურნალი „ქურა“, რომლის რედაქტორიც იყო ეული, ასოციაციის მოქმედიანობის პირველ წლებში გამოიცა სალიტერატურო გაზეთები: „ქარხნის ჰანგები“, „5 მაისი“, „ორიონი“. ამ სალიტერ. გაზეთების აქტიური თანამშრომელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ეული იყო;; ამხ. ეული ჟურნალ „მნათობის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი და ხსენებული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრიც.

სანდრო ეული სამხატვრო სახელოვნო ჟურნალის („ხელოვნება“) დამაარსებელია და მისი ხანგრძლივი რედაქტორი ამხ. ეული ამხ. სილვა თოდრიასთან ერთად სატირული ჟურნალის („ნიანგის“) ერთ-ერთი დამაარსებელია და რედაქტორი დღეს. გარდა ამისა, სანდრო ეული „წითელი მხედრის“ (1921 წელს გამოდიოდა) პირველი რედაქტორი იყო.

ეულის პირველი ლექსების წიგნი „რევოლუციის საყვირი“ 1921 წელს გამოვიდა, მიმდევნო წლებში გამოცემული იქნა ეულის შემდეგი წიგნები: „ქარხნის ტრიუმფი“, „ათი წელი“, „ახალგაზრდა საქართველო“, „შრომისა და ბრძოლის ჰანგები“, „ლენინი“, „ახალგაზრდობას“, „რჩეული ლექსები და პოემები“, „დიადდღეებზე“ და სხვ.

გარდა ამისა ს. ეულის წიგნები იბეჭდება რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

ამხ. ეულის შემოქმედება მარტო პოეზიით არ შემოიფარგლება, მუშაობს სატირა-იუმორის დარგსა და დრამატურგიაში. მისი 4 მოქ. პიესა „გზა“ დაიბეჭდა 1914 წელს ჟურ„ცხოვრებაში“, „აღთქმული ქვეყა-

ბოლშევიკ—პოეტს რული მოღვაწეობის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა“ 1922 წელს. მზად აქვს ახალი პიესა „მთავარი“ და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე ეული გარდა მხატვრული შემოქმედებისა და ლიტ. ორგანიზაციებში მუშაობისა სოციალისტური კულტურის მშენებლობის სხვა დარგებშიც მრავალ მხრივ მოღვაწეობას ეწევა.

ამ მოკლე ბიუგრაფიული ცნობებით ნათლად ჩანს თუ რა შრომისა და ბრძოლის გზა გავლო ეულმა. სანდროს ლიტერატურული ფსევდონიმი მისი გავლილი ცხოვრებაა. „რატომ დაირქვა ეული“ როცა წერა დავიწყე მართლაც ეული ვიყავი —ბოგანო, უუფლებო“. წერს ერთ-ერთ წერილში ეული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან აღარ ეულობს სანდრო:

„დღეს კი გზა ჩვენი,
გზა არჩეული
გაკაფული გვაქვს
და დაძლეული.
და მეც პოეტი
სანდრო ეული
ცეცხლის რაშით ვარ
გატაცებული“.

ეულის პოეზია დაიბადა გაზეთის ფურცლებზე! ამიტომ ეპიტეტი „საგაზეთო“ უცხო არაა რევოლუციური აგიტკის ამ ქართველი წარმომადგენელისათვის დემიან ბედნი რევოლუციორი აგიტკის კლასიკოსია. ეულის რევოლუციური აგიტკა პოზურია. ეს თეტიურია.ამაზე გვანიშნებს მისი რიტმებისა და სახეების წყობა. აგიტკა პოეზიის ურთთულესი სახეა, განსაკუთრებული ჟანრი. აგიტკა მხატვრულ სახეებში და რიტმებში მოცემული აგიტაციაა; აქ ხერხებიც თავისებურია.

კრუპსკაია თავის მოგონებაში წერს, რომ ილიჩს უყვარდა დემიანის ლექსები, განსაკუთრებით მოსწონდა მისი ესთეტიური ლექსები. ესაა რევოლუციური აგიტკის ყველაზედ ავტორიტეტული შეფასება.

გასული საუკუნის ბოლოს ჰეინეს დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო მერინგი დაახლოებით წერდა. ჩვენში ჯერ კიდევ გაბატონებულია შეხედულება, რომ პოლიტიკური და სოციალური შემოქმედება ხელოვნების გაბინძურებაა, პოეტმა უნდა უმღეროს სურნელოვან ყვითელ იებს, აყვავებულ ქლიავებს და სხვ. ასე უყურებენ თანამედროვე მეშჩანებიც მწერლობის საგანს, არ მოსწონთ აგიტაციური მწერლობა. სურთ სენტიმენტალური სლოკინი რომელიმე ასაკ გადაცილებული ქალის „მღელვარე თმებსა და „მოუმწიფებელ სურვილებზე“. ამ მეშჩანებს კი იდეურად ზურგს უმაგრებს სალონებისა და ძველი აკადემიების „დიდი“ ლიტერატურა—მტრულად განწყობილი რევოლუციური მწერლობისადმი, რევოლუციური ქუჩებისა და მოძრაობის სტილისადმი.

ეულის შემოქმედების თემა—მებრძოლი პროლეტარიატი. ეს მებრძოლი პროლეტარიატის თემა ძლიერად და ორგანიულად იშლება ეულის სამხატვრო-სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის მანძილზე.

ვიმეორებთ, ეული ქართული პროლეტარული **პოეზიის** პიონერია, პირველი დამწყები. მისი პირველი ლექსები ხელშესახებად გამოირჩევა რეაქციის წლების დემოკრატიული და „პროლეტარული“ მგოსნების წვრილ ბურჟუაზიული კაკოფონიისა და მამაიარაღებელი განწყობილებებიგან. უთუოდ სამართლიანია პროლეტლიტერატურული მოძრაობის ერთ-ერთი ძველი მუშაკის **რაჟდენ კალაძის** შენიშვნაც, რომ **სანდრო ეული პირველი დამწყებია და მებუკე** ამ საზეიმო გამოსვლისა ჩვენს ნიადაგზე, **საქართველოში**“. ეს არაა საიუბილეო დათმობა ან, საკიოსკო ფრაზა! სანდრომ ის დაიმსახურა.

ქართული პროლეტარული პოეზიის პიონერმა, დამწყებმა და მებუკემ „ჩვენი პირველი ამღერების მგოსანმა“—ეულმა ბრძოლებით განვლო ეს ოცდახუთი წლის მანძილი და ვუკეთებთ რა ჯამს მის ნაყოფიერ სალიტერატურო პრაქტიკას, გვჯერა რომ ამხ. სანდრო ამ საიუბილეო მიჯნიდან გააძლიერებს თავის პოეტურ მუშაობას! ამის ნიშნები არსებობს.

სანდრო ეულს როდი ყავს ე. წ. „ლიტერატურული მეგობრები“! მისი მეგობარი და დამფასებელი მასობრივი მკითხველია.



ᲫᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ (ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ) ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲙᲐᲕᲙ. ᲬᲘᲗᲔᲚ ᲓᲠᲝ. ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲐᲓᲘ. ᲤᲝᲢᲝ: ᲞᲐᲠᲐᲛᲝᲜᲝᲕᲘᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბარდო-ბალყარეთის კოლმეურნეობა. ქათმების მომვლელი კოლმეურნე **შურა ვასინა** ხაკვებს აძლევს ქათმებს.

ოქტომბრის რევოლუციის პოეტი

ვ. მეგუკე

სანდრო ეული, რომლის 25 წლის რევოლუციონურ-სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილე ა.-წ. 27 აისს გადახდილ იქნა, არის პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორთაგანი.

საქართველოს პროლეტარული მწერლობა რევოლუციებსა და სამოქალაქო ომების ცეცხლში იშვა და გამარჯვებულ პროლეტარიატმა თავის გამარჯვების პირველ დღეებშიც შექმნა, თავისი საკუთარი მწერლობა.

სანდრო ეული რევოლუციონურ აუშათა მოძრაობაზე ადრიდანვე ყო დაკავშირებული.

ის ბრძოლის ცეცხლი, რომელიც ის ლექსებში ანთია, პოეტის მიერ უშუალოდ განცდილი გრძნობაა. ის ვითონვე იწოდა მის ლექსებში დათებულ რევოლუციონურ ცეცხლით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამ დიდ ბრძოლებში, რომელიც წინ ეძღოდა საქართველოში საბჭოთა ეწყობილების დამყარებას.

პროლეტარიატი, რომელმაც ის ყო დაამხო მენშევიზების საზიზღარი ბატონობა და ხელში აიღო გაღატაკებული ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები, საჭიროებდა სულ სხვა შინაარსის და ფორმის მწერლობას, ვიდრე ამას იძლეოდა ვარდბულბულების, „კახპა ნთვარის, ათაშანგიანი ქალაქის, კაციჭამია ნაციონალიზმის შხამით ამყრალებული პოეზია“.

სანდრო ეულს, რომელიც უეჭველად სამართლიანად ითვლება მასიურ პროლეტარულ მწერლობის აკვნის პირველ დამრწევად საქართველოში ბევრი ბრძოლების გადატანა მოუხდა, რომ პროლეტარულ მწერლობას სათანადო პოზიციები აეღო და ის მდგომარეობა დაემკვიდრებია, რომელიც მას დღეს აქვს.

ამის შემდეგ პოეტის ბიოგრაფია ხდება პროლეტარული მწერლობის ბიოგრაფიად და პოეტი ამ მომენტს, ამ პერიოდს მშვენივრად გამოხატავს, ერთ თავის ლექსში სადაც ვკითხულობთ:

ყველა საბრალო
ციურ მადლს გვართმევს
პოეტებს „მიწის“!
მე კი ციურთა
არ ვარ ხაცნობიც:
ლექსი ლექსისთვის
არ მიწერია,
ხინაზე ლექსში
მჭონდა ნაგმობი
და ბრძოლის ჩანგი
ამიყლერია.
მე შემოვედი
პოეზიაში
როგორც პოეტი
შრომის და ოფლის

ეს არის არა მარტო სანდრო ეულის აღსარება, თავგადასავალი, არამედ მთელი პროლეტარული მწერლობის ბიოგრაფია, ოქტომბრის რევოლუციის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე.

ამ პერიოდში მებრძოლ განწყობილების შენარჩუნება, ბრძოლის ცეცხლის დანთება, მტრისადმი სიძულვილის გრძნობის გაღვიძება კიდევ უფრო ძვირფასი იყო და აი რას მოითხოვდა ეს მომენტი პროლეტარულ მწერლობისაგან და აი რას აძლევდა მაშინდელ ეპოქას პროლეტარული მწერლობა.

სანდრო ეულს, როგორც ჭეშმარიტ რევოლუციონერს, ამ პერიოდში პოლიტიკური სიფხიზლე არ დაუკარგავს, მიხწეულ თუ მოპოებულ გამარჯვებით არ დამთვრალა, არ განიარაღებულა და ბრძოლის ბარი-

კადებიდან ძირს არ ჩამოსულა. მას კარგად ესმოდა რომ პროლეტარიატს საბრძოლო კიდევ ბევრი ჰქონდა, რომ მას კიდევ ბევრი სიძნელეების და დაბრკოლებების გადალახვა მოუხდებოდა და რომ ეკლიანი გზის გაკაფვა მებრძოლებისაგან კიდევ ბევრს სისხლის გაღებას მოითხოვდა.

სანდრო ეულის პოეზიის ერთი უდიდესი დამსახურება სწორედ იმაშია, რომ ის თავის წარმომშობ კლასს მაჩანჩალად კი არ გახდომია, არამედ თავიდანვე გვერდში ამოუდგა და თავისი პოეზიით ემსახურებოდა იმას, რასაც რევოლუციისათვის მებრძოლთა ხელში ხმალი აკეთებდა.

სანდრო ეულის პოეზია ეს რევოლუციის დაფი და ბარაბანია, დროისა და გარემოს საყვირია და არა ჰაერში უმიზნოთ გაშვებული, ცარიელი სიტყვების კრებული.

სანდრო ეულის პოეზიას მტკიცედ განსაზღვრის მიზანი აქვს, თავის ნიქის შეძლების დაგვარად, მაგრამ უეჭველად დიდი ენტუზიაზმით და ერთგულებით ემსახურება ის ამ მიზანს და მისი ყოველი ლექსი ამ მხრივ სოციალიზმის მშენებლობის აგურია.

ბრძოლის განწყობილების შენარჩუნება და პოლიტიკური სიფხიზლის დაცვა დღესაც ძვირფასი და საშური საქმეა, მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასი იყო პირველ პერიოდში. როდესაც ჩვენი პოეტი თავისი კლასობრივ ძმებს ასე მიმართავდა:

„ამხანაგებო ბრძოლის ხალისი
აგვენთოს გულში კვლავ ცეცხლით ყველას
ნურვის ათრობს დღეს გამარჯვება
მტერი ჩვენს ხარჯზე მოელის შველას“.

პოეტმა თავის წარმომშობ კლასთან ერთად ბევრი ულრანი ტყენი გამოიარა“, გადათელა „კლდენი და ღრენი“, მაგრამ „ყოფა სალხენი მისთვის ჯერ კიდევ შორსაა“, და ამიტომ პოეტი ამხანაგებს გულმხურვალედ მოუწოდებს:

„„ამხანაგებო წინ, წინ გავსწიოთ
ნუ შეგვაშინებს სვავთა ღმუილი,
ყვავთა ჩხავილი, გველთა სისინი
და ღამის მცველის მწარე სიცილი.
ყველამ იცოდეს რომ მტრებს არ სძინავთ,
ლამობენ ზურგში ჩაგვცეს მახვილი.

პროლეტარიატი ვერ მიაღწევდა იმას, რაც დღეს გვაქვს. რომ ეს სიფხიზლე არ გვქონოდა. სანდრო ეულის ლექსი, დატენილი პროლეტარული რევოლუციის დიადი იდეებით, ემსახურებოდა ასეთ რევოლუციონურ სიფხიზლის დაცვას. აქ ლექსი, აქ კალამი ხიშტის გამარჯვების მიუცილებელი პირობაა, მისი გამარჯვების უდიდესი საწინდარია. სანდრო ეულის ლექს აქვს ეს დამსახურება და დღეს მისი 25 წლის იუბილეს დროს ამას განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას.

სანდრო ეული თავიდან თავისუფალი იყო ყოველგვარ დაცემულობის განწყობილებისაგან და ის რომ გორც მებრძოლი პოეტი ბრძოლას უმღერის, მებრძოლთ სადარაჯოსაკენ მოუწოდებს და მებრძოლებში ბრძოლის ხალისის **დანთებას** ემსახურება.

**
*

სანდრო ეულის პოეზიის თემატიკა ეს ოქტომბრის რევოლუციის ყოველდღიური საჭირბოროტო საკითხებია. მარტო ლექსთა სათაურების გადათვალიერებაც-კი საკმაოა იმისათვის, რომ გაიგოთ თუ რა აღელვებს და აფიქრებს პოეტს, ვის უმღერის და ვის შეხარის და რა ახელებს და აბრაზებს მას.

ამიტომ მის ლექსებს რამდენიმეთ პოლიტიკური პამფლეტების შინაარსი აქვს, უმეტეს შემთხვევაში საagიტაციო ხასიათისაა და ემსახურება როგორც ეს ზემოთ ავღნიშნეთ საბრძოლო განწყობილების განმტკიცებას, ძველის და შავბნელი წარსულის შეძულებას და რევოლუციის ბონაპოვრის დაცვას.

ასეთია იუბილიარის ლექსები დღეს, მაგრამ ასეთი იყო გუშინაც, „როცა ღამე უძილოსა და უცნაურში დაცრეცილ შუქზე კრთოდა თბილისი“, როცა ულრანს, ტყიანს, კლდიანს, მთიანს, ბნელ ღამიანს გზა ბარდიანს, შიშიანს და ხიფათიანს მიკაფავდა და

სისხლით ირწყო
დაოიალი
მაგრამ ალი
შორით რომ სჩანს
ამ ძველ მხარეს
ამ ქვეყანას
მალე დასწვავს.

პოეტს ყოველთვის ქონდა რევოლუციის გამარჯვების ურყევი რწმენა, მას არასოდეს ეშვი არ ეპარებოდა დაწყებულ ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებაში, ის ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის დროს (1916 წ.) ბოლშევიკურად სჭვრეტდა ხვალინდელ დღეს, კარგად ესმოდა მას მებრძოლთა ხმები და ჯარისკაცში რევოლუციონური შეგნების ზრდას ასე აგვიწერდა:

„ჩვენ ომის ცეცხლში დაგვეწვა ბინა
სასტიკმა ომმა მოგვლიჯა კერას
ვეწირებოდით მბრძანებლურ ნებას
ვმტრობდით ლატაკებს თვით ლატაკები
დღეს გავიღვიძეთ და ვახელთ თვალებს..
ვადგენთ ტანჯულთა და ჩაგრულ რაზმებს.

აქ მოცემულია, თუმცა ცდარე მხატვრული ხერხებით, სიტყვების რამდენიმეთ პუბლიცისტურად დალაგებით ,ლენინის უკვდავი ლოზუნგის „იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის“ რეალიზაცია. ეს ლექსი, რომელსაც აზის 1916 წ. თარიღი განსაკუთრებით იმ მხრივაა ძვირფასი და აღსანიშნავი, რომ მკაფიოდ გვიჩვენებდა პოეტის სამომავლოდ განვითარების გზებს. პოეტის განსხვავებულ პოეზიას მაშინდელ დემოკრატიულ მწერლებს შორის, რომლებიც ასე შორს არ იყურებოდენ და რომლებსაც ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციის ფეთ-გახედვაც კი არ უნდოდათ.

პოეტის გული სამოქალაქო ომების პერიოდში რევოლუციურ ცეცხლით იწვის და, რომელიც ლუციონური რომანტიზმის საბეთით აკეთებს. პოეტს აღფრთოვანებს დუშეთის აჯანყება, ამაში ხედავს ოქტომბრის რევოლუციის კარების შემოღებას საქართველოს მასშტაბით და ზემოურ განწყობილებაზე დამდგარი დიფირამბებს უმღერს მებრძოლებს:

„აჯანყება არის ხალხის
თავს დაესხნენ მტრების საწყობს
ბრძოლას მედგარს
გაუმარჯოს
მტერმა ნახოს
როგორ იბრძვის ოფლის მღვრელი.

ეს ლექსი რასაკვირველია მხატვრული ოსტატობის მხრივ დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, ის ზოგადი ფერებით და საზეიმო განწყობილებით გაკეთებული ლექსია, მხატვრული სახეები მასში სუსტია, პუბლიცისტური მსჯელობა უფრო მეტი და მორეული, მაგრამ ამ პერიოდის მისი ლექსის განწყობილება ამით არ შეიძლება განისაზღვროს,ვინაიდან ყოველი ნაწარმოები უნდა ფასდებოდეს თავისი დროისა და ეპოქის მიხედვით და სანდრო ეულის აღნიშნულ ლექსებს თავის დროზე პროლეტარიატისათვის ქონდა უაღრესად აქტიური მნიშვნელობა და ის იკითიებოდა გატაცებით და ხალისით.

მხატვრული ოსტატობა და მხატვრული კვალიფიკაცია მწერლისათვის ყოველთვის ძვირფასი იყო და არის, მაგრამ მაშინდელი ეპოქა ისეთ დიდ მოთხოვნილებას არ უყენებდა ამ მხრივ მწერალს, როგორც დღევანდელი ეპოქა უყენებს და არც შეიძლება მისი ძველი ლექსები დღევანდელ ეპოქის მიხედვით იქმნას განხილული.

სამ ოქალაქო ომების პერიოდში, განსაკუთრებით მენშევიკების ბატონობის პერიოდში მთავარი იყო გამარჯვების ურყევი რწმენა, უდრეკი ნებისყოფა, საბრძოლო ენტუზიაზმი და რევოლუციონური პათოსი, რაც უეჭველად ჭარბად ქონდა სანდრო ეულს თავისი პოეტობის დაწყების პერიოდში.

პოეტი სჭვრეტს ხვალინდელ დღეს, მტერთან პირისპირ ბრძოლის ველზე შეხვედრას და ის თავისი რიგების მებრძოლთა პროფილებს ასე აკეთებს:

„ბაგრამ ვიქნებით ჩვენ უშიშარნი
და ქარიშხალად გადავიქცევით
არ იქნებიან ჩვენს შორის მხდალნი
ან გავიმარჯვებთ ან დავმარცხდებით.

პოეტს არ აშინებს დამარცხება, მან იცის, რომ მომავალი იმ საქმეს და იმ კლასს ეკუთვნის, რომელსაც ის ემსახურება, რომელსაც ეკუ-

თვნის, რომლის რიგებშიაც ის დგას და იბრძვის, იცის რომ ცალკეული დამარცხება არ სწყვეტს ბრძოლის საბოლოო ბედს, რომ პროლეტარიატი ამ დამარცხებას მომავალ ბრძოლაში გაკვეთილად გამოიყენებს და რომ საბოლოოდ:

„ჩვენს ძველ ქვეყანას მივცემთ ცეცხლის ალს
ქვეყნად ავმოფხვრით ჩვენ ბოროტებას.

პოეტმა თავიდანვე აიღო ხაზი პოლიტიკურ პოეზიისა და მისი ლექსი, მხოლოდ რამდენიმე ლექსის გამოკლებით პოლიტიკური შინაარსისა იყო. ლექსი პოლიტიკური შინაარსით სანდრო ეულამდეც იწერებოდა და იბეჭდებოდა, მაგრამ სანდრო ეულმა ის აიყვანა ეპოქის ამოცანების სიმაღლეზე.

პოლიტიკურ ლექსებმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვა და საბჭოთა კავშირში არც ერთ პოეტს იმოქმედია ასეთი მკითხველი არ ყავს, რამდენიც დემიან ბედნის, რომელიც დღესაც პოლიტიკური პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

პოლიტიკური ლექსი რასაკვირველია არაა მოკლებული მხატვრულ სახეებს და ლექსის ოსტატობის სხვა მხარეებს, და რამდენად ძლიერია ეს მხატვრული ოსტატობა პოლიტიკურ ლექსში, იმდენად ძლიერია მისი ზემოქმედება მასებზე, იმდენად იტაცებს და გაიყოლებს მისი მაღალი ხმა მასებს.

ლექსი „წითელ საქართველოს“ მთლიანად პოლიტიკური შინაარსისაა. ლექსი დაწერილია მენშევიკების ბატონობის პერიოდში ქუთაისის ციხეში გამომწყვდეული პოეტი გაიძახის:

„ვინ დასტირის საქართველოს
გაწეწილი თმითა
დაკაწრული ლოყებით და
მგლოვიარე ხმითა
სისხლიან ხელს ვინ გიღერებს
დაყანგული ხმლითა
გაბზარული ბედის წყეული
საწამლავის ხმითა.

და აი ის, რასაც პოეტი აგრეთვე შეტრფოდა, რისთვისაც ებრძოლა და თავს სწირავდა, ... ხნიდან შეადგენდა მისი მომავლის სანუკვარი იდეას, სინამდვილედ იქცა, საქართველოს პროლეტარიატმა ბევრი სისხლი და ბევრი ცხვერპლი გაიღო, რომ მენშევიზმის შავბნელ ბატონობისათვის თავი დაეხწია და დიად ოქტომბრის რიგებში ჩამდგარიყო. ამის შემდეგ პოეტი გვიხატავს იმ სიხარულს, იმ აღფრთოვანებას, ენტუზიაზმს, მზიან დღეს, რომელიც გაუთენდა საქართველოს პროლეტარიატს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით.

ჩრდილოეთიდან ოქტომბერი დიდხანს
გვიმზერდა
და თერთმეტ თვეში არჩევანი ერგო
თებერვალს.

სანდრო ეული პოეტია არა მარტო ბრძოლის, არამედ შრომისაც. ძას აქვს მრავალი ლექსი საწარმოო შინაარსისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ მისი ერთი დამსახურება. სანდრო ეულამდე ქარხანა ქართულ პოეზიაში არავის არ მოუცია. სანდრო ეულმა ქართული პოეზიის ეს ხარვეზი შეავსო. „ქარხნის კონცერტი“ თუმცა საერთოდ ქარხანას იძლევა და საწარმოო პროცესების მშრალ აწერას წარმოაგენს, მაგრამ ლექსი უეჭველად მოხდენილად არის გაკეთებული.

„აქ ცეცხლის ალი ბალეტშეისტორობს,
იქ დირიჟორობს ორთქლი ქვაბებში
შრომა პარტერში ისმეს, ქეიფობს
ხრახნილი სოლოს მღერის სარქველში.
რგოლების გუნდი შრომის ჰიმს მღერის
ბრძმედი იმღერის არიას ბრძოლის
ქანჩებს დუეტით გული უძგერის
ღვედი წვრილ ხმაზე ჭკრეს ჰანგებს
ქროლვის.

პოეტი მეორე ლექსში ქარხნის ჰანგებშიაც რამდენიმეთ იმეორებს ამ სახეებს, აქაც მას ქარხნის ხმაური მუსიკალური კონცერტების ხმებზე აქვს გაკეთებული, აქაც „ხშირად კონცერტებს მართავენ მანქანები“ აქ გაისმის „კრინი ჭაღების და ზილი სარქველების“ შრომის არმიად.

ჩვენ აწ კამერტონი აღარ დაგვჭირდება
ისე შევეჩვიეთ ხმების ინტერვალებს
და ქარხნის ჰანგებზე ხმები აზვირთდება
ტომბონი დინამოთ სული იმწვერვალებს.

ლექსი „ჩათახი“ მართალია ჩათახის ქარხანაზეა დაწერილი, მაგრამ ამ ლექსში მისი გეოგრაფიული მდებარეობის ამბები უფრო მეტია, ამ რაიონის მოსახლეობის ისტორიას უფრო შეიცავს და მეფეებისა და ბატონების ვერაგობაზე უფრო მეტს გადმოგვცემს, ვიდრე მისი საწარმოო პროცესები, და ქარხანაში მომუშავეთა ფიქრებსა და ზრახვებს გვისახავს.

საწარმოო პროცესების ასახვაში, თუ მუშის განწყობილების გადმო-



ცემაში პოეტი ყოველთვის ვერ სდგას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, ხშირად სცდება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს და ცხოვრების სინამდვილეს აკეთებს სიმბოლოებით და ალეგორიებით, რაც დღეს ყოვლად გაუმართლებელია.

ჩვენ უნდა შევეხოთ, „საუბარი პროლეტ-სტუდენტთან" რადგან ის სანდრო ეულის ლექსებში ერთ საუკეთესო ლექსთაგანს წარმოადგენს და პოეტის მხატვრულ შემოქმედებითი მუშაობის გარდაქმნის გაბედული და გამართლებული ნაბიჯია.

სისადავე და უბრალოება, აი რა ახასიათებს ამ ლექსის ენას. ორატორული აუღელვებლობის პირობებში მთავარი საგანი უფრო რელიეფურად სჩანს. პოეტი მასთან უფრო ახლო მიდის და ღრმადაც სწურავს.

პროლეტარი მწერლის და პროლეტარ სტუდენტის საუბრის თემაა პარტიის გენერალური ხაზის დაცვა აღმშენებლობის ტემპების განვითარებაში. ეს საკითხი მთელი თავისი სიმძიმით ებჯინება ახალი კადრების საკითხს.

„მო და ამ გზაში ჩვენ ამხანაგო
გვინდა ალმურვა ცოდნით ყველაფრის
„მზარეულ ქალმაც უნდა განაგოს
ეს სახელმწიფო მშრომელი ხალხის".

აქ ცოტაა „მღერა, კიდევ უფრო ცოტა ორატორული დაჭიმულობა, მაგრამ ეს ლიბრი მიუხედავად ამისა უფრო იტაცებს მკითხველს და მისი ემოციალური გავლენა მკითხველზე გაცილებით უფრო ღრმა და ძლიერია, რადგანაც პოეტს მებრძოლი განწყობილებით გამოწვეული აღელვება ხელს არ უშლის საგანთან ახლოს მივიდეს და მასში უფრო ღრიად ჩაიხედოს. მშენებლობაში გაცილებით უფრო ძვირფასია სიდინჯე და დაკვირვება, ვიდრე ღელვა და სულის აბორგება.

ვიმეორებთ პოეტი მომავალში ამ გზით უნდა განვითარდეს, ვინაიდან ეს არის გზა გამარჯვების და ის ამოცანების რეალიზაციის საწინდარი, რომელსაც დღევანდელი დღე უყენებს.

⁂

ერთი და იგივე თემა პოეტს მრავალჯერ აქვს დამუშავებული და ამ ტომაც მასში ბევრია რიტორიკა, განმეორებული მხატვრული სახეები.

ასევე ითქმის ლექსებზე პირველ მაისის და პროლეტარულ რევოლუციის სხვა ღირსშესანიშნავ დატების შესახებ.

ამ მიზეზით მისი ზოგიერთი ლექსები წინა ლექსების გადამღერებას წარმოადგენს და ცოტაა მასში ახალი მხატვრული სახეები, რის გამოც მკითხველებისათვის მისი კითხვა რადენიმეთ მომაბეზრებელი ხდება. არა მარტო მხატვრული სახეები, არა შედ სიტყვათა ლექსიკონი სიტყვათა დალაგებაც კი განმეორებული აქვს.

ვფიქრობთ პროლეტარულ რევოლუციის ისტორიულ დატებზე სავალდებულო არ არის პოეტმა ყოველ წელს დასწეროს ლექსი.

სანდრო ეულის „მეფე მემანქანე" რეალისტური ფერებით გაკეთებული ნაწარმოები არ არის. აქ სინამდვილე თავისი ნამდვილი სახით კი არ გამოიყურება, არამედ მას აქვს სხვა და სხვა სიმბოლოების და ალეგორიების ნიღაბი. მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი ადგილი:

დღეს მეფე არის
მეფე მემანქანეთ წადებული
მისი შიშით დღეს
ხმაურობს ქვესკნელი
ტარტაროზი დგას გაქვავებული
მისი ეშინიათ და სხვა.

ტარტაროზები, ქვესკნელი, მეფეები ეს არ არის პროლეტარ პოეტის სიტყვათა ლექსიკონი.

მისი მეფობა
სასწაული არის...
ის დაუფლება სამეფო ტახტს და სხვა.

სანდრო ეულის პოეზია ახალი ეპოქის კონკრეტიული სახეს ყოველთვი ვერ იძლევა. მისი ლექსიკობა ხანდახან პრიმიტიულია. ეს ეპოქის ახალ მოთხოვნიფებებს [illegible] ყოველთვის ვერ სდგას მაგრამ მასში ბევრია ძველ[illegible] [illegible] მეშკვიდრეობის ბალასტი, ამას თვით პოეტიც გრძნობს, ეს თვით პოეტსაც შეგნებული აქვს როდესაც ამბობს:

მაგრამ ხვალ ხომ
ვერ ვიმღერებ რაც მიმღერია
ხვალისათვის ახალს
და შესაფერს ვამზადებ ჰანგებს.

საჭიროა ამ შეგნების რეალიზაცია. განაღდება, ავტორმა არ უნდა დაიზაროს შრომა, მეცადინეობა, რომ თავისი ლექსალობა უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს, თავისი ნაწარმოებს უფრო მეტი კონკრეტიული შინაარსი მისცეს და ჩვენს ცხოვრებაში უფრო მთავარი და კონკრეტული მომენტები.

საპირველმაისო აღლუმი მოსკოვში
სურათზე: თვითმფრინავები წითელ მოედანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი არწივი

კაზო მიქელაძე

საუკუნეობით მიწის მეექვსედს
შავი ნისლები თავზე ეხურა!
ბოლო არ ურნდა გატანჯულ დღეებს,
ბორკილებს სჭედდა ოინობის ქურა!
და ქარიშხალი ფრთა სისხლიანი,
მშრომელთ ბანაკში ქვას აგორებდა,
ხალხი სიმშილში გულ-სევდიანი,
ოფლით და ცრემლით გზას ატბორებდა!
ირგვლივ სიბნელე, სიცივ, სიმშილი,
კვნესა, გოდება ვაი-ვაგლახი!
მუჭთა ხორცები, ლხენა სიცილი,
ტყვიის ზუზუნი, ხუნდი, მათრახი!
ვინც დაიძახა:—„მტარვალო შესდეგ“.
სახრჩობელაზე ამოყო თავი!
გასწყდნენ გმირები დამის შემდეგ,
ცხოვრება გახდა კვლავ უფრო ავი!
შორ ციმბირიდან მტერს გამოექცა.
დიდი ტრიბუნი ბელადი შრომის!
საკუთარ დარდათ, რომ გადაექცა,
ფიქრი დაჩაგრულ ხალხის აღდგომის!
და რა გამოჩნდა სხივ-მომფინარე,
ჩრდილო მთებიდან კაცი,—არწივი!
დაიყიყინა: „ხალხო მძინარე,
ადსდეგ, ყორანი თავზე დაგწივის.
—„თვალი გაალეთ, თუ გინდა შველა.
შრომის, ქვეყნის და ადამიანის!
შემოშიერთდით გარშემო ყველა,
დაჩქარდეს ნახვა დღისა მზიანის!“
კავკასიონის თეთრ წვერა მთაზე,
იდგა ბებუკი ჩაფიქრებული!
თავი ასწია საამურ ხმაზე.
პირზე ღიმილით გარინდებული!
მეტეორივითი მალალ ქედიდან,
მის წინ დაეშვა ნორჩი არწივი!
და უთხრა:—შენი მძლავრი ხმებიდან,
ხმალი ავლესე მტრისთვის აწვდილი!
შენი სიტყვების მკვეთლი ბგერიდან.
მზე დავინახე ამომავალი!
შენ,—ჩრდილოელი, მე,—სამხრეთიდან
მტრებთან მებრძოლთა შთამომავალი
დაგვაკავშირა მაშვრალთა კვნესამ
და გამოვიბერ შენგან ხმოვნილი!
შენი თვალების ელვარე კვესამ
მამცნო, რაც უნდა იყოს გმობილი!“
ხელი ჩასჭიდეს ერთი მეორეს,
ზეცას ახედეს გულ-მკერდ გახსნილი!
და ფიცი ერთად გაიმეორეს,
შრომა იქნება მათგან დახსნილი!
გულ გასალტული აუშვეს აფრა,
ჩაგრულ უბნისკენ იბრუნეს პირი!
შუქმა ინათა მიწაზე, დაბლა,
შეკრთა მტარვალი, დაფრთხა ნადირი!
ნავი დაიძრა ჩირაღდნიანი.
ზედ ალისფერი ბრწყინავს ალამი!

გადაიწმინდა ცა ნისლიანი,
მზემ დედა მიწას მისცა სალამი!
—„გმირებო ჩვენსკენ!“ დაიჰყიყინეს,
სიცოცხლისათვის ბრძოლა მედგარი!
—მუშებო, კმარა რაც მოითმინეთ,
წინ, ბრძოლის ველზეშწყობრათ
დამდგარი!“
ლომებრ ღრიალებს ზღვა ატეხილი,
ტალღას მიზანში ესვრის ნაპირებს,
ვინც წინად იყო გულგატეხილი,
დღეს იგი ბრძოლის ჰყიყინს აპირებს!
მეფის „ახრანკამ“ საყვირი დაჭრა:
—„აბა ტვიშელეთ გაგვექცა მტერი!
ათასი ოქრო ჯილდოთ გააკრა.
ვინაც იქნება მისი დამჭერი!
განახლების მტრებს ცეცხლი ედება,
ჯაშუშებს ოფლის ჩამოსდით ღვარი!
ტკბილი ოცნება მათ უწბილდება,
ბელადმა მეფის განვლო საზღვარი!
ელვის სისწრაფით დრონი დღეებს სჭამს.
და შურდულივით მალი, მამაცი!
რაზმებსა აწყობს და სტამბებსა ხდგამს,
სხვადასხვა კუთხეს ფოლადის კაცი!
იქ ტყვიებს ასპამს, აქ წერილსა სწერს,
ბელადს უგზავნის უცხო მხარეში!
გალომებული ათი თვალით მზერს,
ვერსსა აკლებს მზვერავთ თარეში!
გმირებს უყივის: „გავკაფოთ ტევრი,
და გადავლეწოთ სასწრაფოთ კალო!“
გაშტერებული გაყვირის მტერი,
„ცხრა-კლიტულიდან გაგვექცა კაშო!“
თან მეცადინეობს და იძენს ცოდნას,
წიგნი არ დარჩა წაუკითხველი!
საუკუნეების ეცნობა ცოდვას,
სიავის მტერი,—განუკითხველი!
დღის დაიბერენ. ზვალ ფაექცევათ,
ურიან-მაჩინათ გადაქცეული!
მტრებს თავზე რისხვის შები ეცემათ,
ის გამარჯვების არის წვეული!
მუხანათებმა ასტეხეს ომი,
და დაერიენ ერთიმეორეს
და ვინც ამხილა ზრახვა ქვე-მძრომი,—
ტყვია მიარტყეს ლიბკნეხტს და ეორესს!
მილიონობით ჩაუშვეს წყლულითა,
ნორჩი სიცოცხლე ბნელ სამარეში!
ხალხის ქონება ზარბაზნის ლულით
მილიარდობით დახვეს მაერში!
მოთმინებისა გასკდა ფიალა,
ბოლმა ახეთქა მაშვრალთ გულებმა!
და ხალხმაც ერთ ხმათ დაიგრიალა:
—„ძირს მტარვალების განკარგულება!
დაათასობით აბჯარ ასხმული.
ხალხი მიაწყდა ხასანლის კარებს!
შესძახეს:—„რაც გაქვს სისხლი შესხმული,
მეფეო, იკმარე! გითხრით ხამარეს!“
მეფე გადადგა, მაგრამ ქვეყანა,
ისევ ბნელშია არა სჩანს დარი!
ხალხი სიმშილმა ააყაყანა
იგივ სისხლის ღვრა და გლოვის ზარი!
ეკითხებიან,—შენ,—ამხანაგო
გვითხარი ბნელში სანამდე ვიწვეთ?“
—„ჩუმათ მანამდე, რომ არ წაგოთ,
„დამფუძნებელსა“, სანამ მოვიწვევთ!“
ფოლადის კაცი ქარხნებში დაჭრის,
ფიქრობს: ბელადის დროა ჩამოსვლის!
და მოგლოდნენ დიდი ოქტომბრის
თიოლ ოქროში ტყვიას არ გაცვლის!
მოქრის. მოჭშინავს მატარებელი,
ხალხი მიაწყდა რკინის გზის სადგურს!
კაცი გამოჩნდა გამხარებელი
ვინც ახალ ყოფას უმზადებს აგურს!
—ვაშა. გაიხმა მეხისებური,
—„ვაშა. დ�د ბელადს ლენინს გულ-
მზიანს!“
მან. წარბ აწევით, თავისებურით,
კითხა: „რათ ითმენთ ხელახალ ზიანს?“
—„ყველა ბრძოლის ცეცხლი უნდა აინთოს,
ხელში გეჭიროთ მაბვილის ტარი!
ქვეყნის მესაკე ყველამ გაიგოს,
უნდა შეერნეს აწ პროლეტარი!“
შესძახეს. —„შენთან რა არის მტერი,
გაგვიძეს უკან მოგყვებით ჩვენა!
ხელში ეუზური დროშის დამჭერი,
შერცხვეს, თუ მტერი არ შეაჩვენა!“
ამ დროს მიიჭრა გამალებული,
ფოლადის კაცი,—გულით მოყვარე,
ბრძოლისა ცეცხლით ალმოდებული,
ეტყვის: „რაც გსურდა ის მოვაგვარე!“
ორთავენ ერთად მიმართეს ავტოს,
ხალხი მათ მისდევს ჰყიყინ სიმღერით!
ამ სიმღერაში სურთ გამოხატონ,
ორი არიწვის ძალა, იერი!
ჩრდილოეთის ცამ ეხროლა მიწას,
ხაგაზაფხულო სხივი ახალი!
რევოლუცია ვერ აღწევს მიზანს,
გაკვირვებულა კაცი მაშვრალი!
კერენსკი ჰკივის ისტერიულათ,
—„ბრძოლისა ველზე გუნდით და გუნდით!
გერმანელები მოჭრილი მტრულათ,
უნდა გავრეკოთ ომში გაბრუნდით!“
—„აგრე გიბრძანებთ ხელისუფლება,
ჯერ ვამარჯვება, ანუ ხაკანი!
და შემდეგ მიწა თავისუფლება,
იქნება ჩვენი ზრუნვის საგანი!
უცებ ფურცლები გადმოიყარა,
და შიგ ეწერა: „მიწა და ზავი!“
გულიდან ხევლა გადაიყარა,
მალლა ასწია მუშებმა თავი!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტფილისის გარეუბნის კურორტები

ტფილისი, როგორც ამიერ-კავკასიის კულტურული ადმინისტრატიული ცენტრი და ამასთანავე დიდი სამრეწველო და ინდუსტრიალური ქალაქი, დღითი-დღე იზრდება ჩქარი ტემპით, ლოზუნგმა „გადავაქციოთ ტფილისი ამ.-კავკასიის სანიმუშო ქალაქად“ ხორცი შეისხა, ამ მხრივ ქალაქის ყველა დაწესებულებების ხაზით გიგანტიური მუშაობა სწარმოეს. ტფილისი დღითი-დღე იცვლის სახეს და ახალ სოციალისტურ ქალაქის სახეს ღებულობს.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგმულია. ამ დღეებში მოწვეულ იქნა გარეუბნის კურორტთა პირველი სამეცნიერო საორგანიზაციო კონფერენცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ტფილისის ახლო მდებარე კურორტების მეცნ.-კვლევის შეისწავლის საქმეს და დასახა სწორი გეზი მომავალი მუშაობისათვის და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი მუშაობის გადასახალისებლად.

ტფილისის ჯან. განყოფილების გამგებლობაში ჯერჯერობით მხოლოდ 4 კურორტია: მანგლისი, კოჯორი, კიკეთი და წყნეთი, ამათ შორის თვალსაჩინო ადგილი, როგორც კლიმატიური სადგური, მანგლისს უჭირავს. ის კურორტი ძლიერ უწყობს ხელს სიხლნაკლოვან ავადმყოფებს და აგრეთვე ძვალ-სახსრების და ჯირკვლების ტუბერკულიოზით შეპყრობილ სენით მკურნალობას.

მანგლისში ამჟამად არის სულ 29 აგარაკი—210 ოთახით, სასტუმრო 18 ოთახიანი, მოწყობილია კარგი სასადილო, ბავშვთა სანატორიუმი, სადაც ყოველწლიურად 200 ბავშვი იგზავნება სოლარიუმი (მზის არა საკმაოდ), ელექტრო-სადგური, მეტეოროლოგიური სადგური, ხერხის ქარხანა და სხვა, ამ აგარაკს უჭირავს 250 გა, რომლის გაფართოება შეიძლება კიდევ დაახლოვებით 100 გათ.



კურორტი მანგლისი. — ტყე.



კურორტი მაგლისი. აგარაკი.

კოჯორში წყალსადენი არ არის, ხმარებაშია ჭის წყალი. სულ კოჯორში 14 ჭა არის.

კოჯორი ცნობილია, როგორც საბავშო კურორტი, რომელიც ძლიერ ეხმარება, განსაკუთრებით ტრაქტიულ, კუჭნაწლავ-ნაკლოვანობით შეპყრობილ ავადმყოფ ბავშვებს.

კოჯორში 136 სახლია 780 ოთახით, არის სასადილო, პოლიკლინიკა და სხვა სამკურნალო დაწესებულებანი.

კიკეთი ცნობილია როგორც საუკეთესო დასასვენებელი ადგილი. ა[illegible] სულ 27 აგარაკია 105 ოთახით. წყნეთიც წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ ადგილს, რომელსაც აქვს ის უპირატესობა, რომ ტფილისიდან ძლიერ ახლოს არის (6 კლ.). წყნეთში არის სულ 21 სახლი, ტერიტორია წყნეთის უდრის 17.000 კვ. მეტრს. მიმდინარე წლის სეზონისათვის მიღებულია ზომები ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად. გარეუბნის კურორტებზე.

კურორტებზე საცხოვრებელი ბინის ფართობების გადიდების მიზნით, ჯან. განყოფილების მიერ მიმდინარე სეზონის განმავლობაში შეკეთილი იქნება 20 სტანდარტიული სახლი, რომელთაგან სამი სახლი 12 ოთახიანი დაიდგმება წყნეთში, ხუთი 16 ოთახიანი და ხუთიც 20 ოთახიანი დაიდგმება მანგლისში, ხოლო 7 სახლი 20 ოთახიანი დაიდგმება კიკეთში. ამ რიგად სტანდარტიული სახლის აგებით საცხოვრებელი ფართობი ყველა ამ კურორტებზე გაიზრდება 356 ოთახით.

[illegible] კიკეთა რიცხვი საგარეუბნის კურორტ[illegible] [illegible] წლის უდრის და 20.000-მდე, აქედან კოჯორში



კურორტი მანგლისი.— სანატორიუმი ბავშვებისათვის.

ივნისში 6.000 მოგზარაკი იყო, ხოლო აგვისტოში კი 10,500. მანგლისში ივნისში 6.000 მოგზარაკი, ხოლო აგვისტოში 10.800; კიკეთში ივნისში 480, აგვისტოში კი 800 მოგზარაკი, წყნეთში ივნისში—1,200, აგვისტოში—1.300 მოგზარაკე.

საგარეუბნო კურორტების მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი. ხოლო სპეციალურად კიკეთის მოსაწყობად დამატებთ სახკომსაბჭოს მიერ გადიდებულია 40.000 მანეთი. ჯან. განყოფილება საგარეუბნო კურორტებზე ჩქარის ტემპით აწარმოებს მშენებლობას და კეთილმოწყობის საქმეს ,აფართოებს სასადილოებს და მიღებულია ზომები აგზარაკების სურსათ-სანოვაგით სათანადოთ მომარაგებისათვის. ასითია საგარეუბნო კურორტების ეხლანდელი მდგომარეობა; ჯან. განყოფილების წინაშე სდგას უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა ამ მიმართულებით გარდაქმნას გარეუბნის კურორტები განყოფილებამ უნდა გააღრმავოს და განაგრძოს იმ გზით მუშაობა, რომელიც დასახა ამ დარგში პირველმა სამეცნიერო საორგანიზაციო კონფერენციამ. კონფერენციაზე გამოირკვა ჯან. განყოფილების ძველი ხელმძღვანელების სრული უთაურობა.

დღემდე საბოლოოდ არ ყოფილა გამორკვეული ტფილისის გარეუბნის კურორტების სამკურნალო-პროფილაქტიური თუ მიკრო-კლიმატიური პროფილი. არ ქონდათ გენერალური გეგმა, არ არის გამორკვეული სამთო სანიტარული და კლიმატიური ზონა, არ არის დაცული სან. მინიმუმი და ამასთანავე არ არის დაცული ტყეები და სხვა, მრავალი საკითხები, მოურეგულებელი უანდერძა ძველმა ხელმძღვანელობამ ახალ ხელმძღვანელებს. საინტერესო მოხსენებით, კონფერენციაზე გამოვიდა დოც. ი. ლორთქიფანიძე და ექ. ვორობიოვი, (კურორტ მანგლისის გავლენა ინტრატოლაკალურ ტუბერკულიოზურ სხვა და სხვა ფორმების მიმდინარეობაზე და სხვა), რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მანგლისი ძლიერ კარგ გავლენას ახდენს ტუბერკულიოზით დაავადებულ ავადმყოფებზე; ექ. უმიკოვმა, თავის მოხსენებაში დაამტკიცა ის აზრი, რომ კოჯორი ღირსშესანიშნავი საბავშო კურორტია, როგორც იშვიათი ბუნებრივი თვისებების მქონე და განსაკუთრებით კარგად მოქმედობს სისხლნაკლოვან კუჭნაწლავ და რაქიტიულ სენით დაავადებულ ბავშვებზე. მაგრამ აღნიშნული ფაქტები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ მიღებულ მაჩვენებლებად მანგლისისათვის. კონფერენციამ საქიროდ სცნო ექსპედიციური ხასიათის გამოკვლევის ჩატარება და დაწყებულ მუშაობის იაორმაგება. გარეუბნის კურორტების ბროფილის გეგმასარკვევად.

კონფერენციაზე აღინიშნა (დოც. კონიაშვილი), რომ რადგან ჩვენში საკმაოდ მოიპოვება ტუბერკულიოზით დაავადებულთათვის საუკეთესო აგარაკები (აბასთუმანი, ბახმარო და სხვა, ამიტომ გარეუბნის კურორტებს მისცეს არა სამკურნალო, არა მედ პროფილაქტიური ხასიათი.

კონფერენციამ საჭიროდ სცნო დაცული იქნეს ტყეები, გაშენებული იქნეს (მანგლისში) ფიქვის ტყე და დაჩქარდეს გამწვანება, გამორკვეულ იქნას სამთო-კლიმატიური და სანიტარული ზონა, შედგენილი იქნეს გარეუბნის კურორტების გეგმა, რომელიც ტფილისის გენერალურ გეგმასთან უნდა იყოს შეფარდებული; რადგან ტფილისის რაიონი არაა ტურისტულ ინტერესსაც მოკლებული, აგებულ იქნას მანგლისში ტურისტთა სახლი. რადგან სამკურნალო ტალახის მარაგი საქართველოში ნაკლებია, ამიტომ ,ციმისის ტბის ტალახს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და საერთოდ ტფილისის ირგვლივ არსებული 9 ტბა (კუმისის, ავლაბრის და სხვა) გამოყენებულ იქნეს როგორც დასასვენებელი და გასართობი ადგილები ტფილისის მცხოვრებთათვის.

სეზონი მოახლოვებულია. „ყველა საკურორტო ორგანიზაციას ძირითადი ამოცანაა, გაიუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, უზრუნველყონ საკურორტო მკურნალობის ეფექტიურობა და მოწინავე მუშათა და მშრომელთა უკეთესი მომსახურეობა“.

ანდრო ში—ძე.



კურორტი კოჯორი—საერთო ხედი.

ახალგაზრდა მწერლების გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტრუსების ბაღში

წვიმამ დაასხა კოკისპირულად
ფხიერ მიწაზე თბილი წვეთები,
დატრიალდენ და კოლექტიურად
შეაჭახუნეს ბარსა კვეთები!
აგერ ვარდები გადმოფურჩქნულა
ჩამოუარეს ხელში ცელებით,
დუნკაცია ლიმონს წაუჩურჩულა
აჰა! მოდიან ციტრუსელები.
ბაღებს მიუძღვნეს ტკბილი სიმღერა
და აშფოთებენ დახუნძლულ თელხვებს,
ლიმონმა მკერდი გადმოიღელა
და გაუცინა მომღერალ გლეხებს!
ზღვიდან დრო და დრო თბილი ნიავი
ძიუალერსებს დაშაქრულ ფოთლებს,
ხარბად დაყრილი ტოტზე ქლიავი
მდინარემ უფრო უმატა დუდუნს
და აშრიალდენ ჩაის ბაღები,
შრიმა ახარებს აჭარელ ურსუნს
[illegible] ულად მონახეკენები!
პალმებმაც ერთად იწყეს შრიალი
მზიან თვალებში სხივი უბრწყინავთ,
გადმოიკარცხნეს თმები მცვრიანი
ისე დინჯად და ისე უწყინრად.
ვერ წარმოვიდგენ ზოგს რომ არ ხწყინდეს
დიდ რიონჰესის ელნათურები,
მანდარინებით უნდა გაბრწყინდეს
ჩვენი მუშათა კლასის სუფრები!
ევკალიპტები ტოტებს შეიხვევს
რომ გაუტოლდეს ზღვაურ სიმუქეს.
პალმები უცებ წელში შეირხენ
გადმოიფერთხეს წვიმის სიუხვე!
წვიმამ დაასხა კოკისპირულად
ფხიერ მიწაზე თბილი წვეთები,
დატრიალდენ და კოლექტიურად
ბაღს შეესიენ ჩვენი გლეხები!
მანდარინების მთელი დიდება
გადმოალაგეს თეთრი ყუთებით,
ვერვინ ვერ ამჩნევს ისე შინდდება
ისევ იბრძვიან გამძლე კუნთებით!

მ. ფოფხაძე.

ამხანაგი სტალინი

შენ ყველგან ხარ, ყველა ქვეყნის ყველა კუთხეში.
მილიონ ხალხის, საყვარელი, მტკიცე რწმენა ხარ.
წლები ჩამდგარა როგორც ბრძოლა მაგ შენს კუნთებში
და ძველ ცხოვრების მესაფლავე, მტერი შენა ხარ.
ცხოვრების გზები გაიარე ლეგენდარულად
ჯანსაღ თვალებში ჩაასახლე მტრის სიძულვილი.
თავს დაადექი სიბოროტეს, საშიშ აჩრდილად,
და გულში გქონდა; ხალხის კვნესა, როგორც ტკივილი.
უდიდესი ხარ ყველა ქვეყნის ყველა ბელადზე,
თერგივით ქუხდი გამარჯვების მწვერვალზე მდგარი.
შენ ქმნი მუსიკას, ულამაზეს მღერი ფოლადზე,
ქარიშხლის ხმა ხარ, გრიგალივით ზღვაზე ამდგარი.
შენ, ყველა ქოხში ჩამოსახლდი როგორც იმედი,
ყველგან ხმას აწვდენ—აფრიკაში და ინდოეთში,
ბრძოლების ცეცხლი ყველა მხარეს დაგითესია,
მტრების რისხვა ხარ—დანთებული ჩაგრულთ გულებში.
ტომით ქართველი—მტკიცედებოდი ნავთის ქალაქში,
ტომით ქართველი—ყველა ერის პირმოშო შვილი ხარ.
დიდი ბელადი იზრდებოდი კავკასიაში,
და ახლა ისევ ბრძოლის ფრონტზე უშიშრად დგეხარ.
გდევნიდა შური; განწირული—წყეულ კლასების,
სურდათ მოტეხა: მთიდან მოსილ სალი ნატეხის!
იდექი მტკიცე. საშიშარი—თავზარი მტრების,
მტერს ეცემოდი ვით დაცემა—მქუხარე მეხის!
წლები გავლენ და შენ ისევ ჩვეხთან იქნები.
ბებერ ცხოვრებას მჯერა საფლავს რომ შენ გაუთხრი.
ხალხის გულებში უფრო მეტად ჩაიჭედები.
ქვეყნად დარჩები ვით ბრძოლების დიდი ხმაური.
წყეულ კლასების განწირული შური გდევნიდა,
სურდათ ნოტეხა—მთიდან მოსულ დამდგარი სალის.
ის დრო წყეული—აღარ მოვა—უკვე წავიდა,
ეხლა ფულები უმღერიან საყვარელ სტალინს!

ნ. მათიაშვილი.

ლ ა გ ა ზ ა

მზე ლაჟვარდს წაჰკიდებია,
ფლოტებს ბუღი აუდით.
მთებში ყინვები დნებიან
მოდიან აურზაურით.
ტრამალს ნიავი მოტირის,
ჯეჯილი ზღვაურ მიღელავს.
ჭალები ტანაშოლტილნი
შლიან საამო სიმღერას.
ნიადაგ ათქვირებული
დგანან ვაზების რიგები.
ჩამოდგა ძალა მთებური...
შრომობენ კოლექტივები.
რისხვა მოუდის ალაზანს
ალვანელ თუშის ხმალივით.
ნახირს მიჰყვება ლაგაზა
ნაიალაღარ ხარივით.
ხელში უჭირავს ფანდური,
ლარებს გაუდით ძგრიალი...
ლაგაზამ ფერი იცვალა,
სისხლმა დაუწყო შრიალი,
გულს სიძლიერე მისცა და
ხმა გაჩნდა ქარიშხლიანი:
აქუხდენ მთები პირიქეთ,
დადგა მერნების ჭიხვინი
ტერფი ჰკვალავდა ბილიკებს
შეუპოყარი ჯიხვივით.

გამწარებული ლეკები
გვებრძოდენ ჯიქურ შეტევით.
„უკანვე გადირეკებით“
ქუხდა ხმა თავგამეტებით.
მოსისხლე ლეკთა ხელები
ჩამოვიტანეთ ბარში და—
გომბორი მრავალხევებით
ვაჟკაცურ ქებას გვაშლიდა“.
მორჩა მღერას და ანაზდათ
ამოხდა რაღაც ძახილი.
ძახილს დაერთო საზარლად
ბლავილი გაშლილ ნახირის.
გაფითრდა კაცი, შეჩერდა...
გაიმახვილა ხედვა და—
მისმა მაგარმა ბეჭებმა
სიცივე იგრძნეს ხელადა.
მარჯვე ნახტომი მოისხლა,
მოისრიალა ფანდური.
„ტიალიმც იყავ“ მოისმა
ხმა სევდით შემოჟანგული.
მიგიხვდი გუმანს ვაჟკაცო!
წარსულ დღეებზე გასწყერი.
„დაჟანგდი ხანჯალ-ქარქაშო“
გულში ამბობ და დასცქერი.
ლაგაზ! შესცვალე ჰანგები,
ნუ შეშფოთდები არწივი.

ტიალი მტრობის ამბები
მოსპე გამხმარი ანწლივით.
ემაგ ფანდურის ლარებზე
სხვა ჰანგიც დაიმღერება.
იმღერე რკინის ხარებზე
გული დარკინოს ბგერებმა.
ლაგაზ! ნახარი გაშლილა,—
კოლექტივების ნახირი.
შენ მოგონებებს წაშლი და
დაგვატკბობს მათი ძახილი.
შეიქენ ჭარმაგ კლდესავით
საბჭოთა სოფლის სარქალო!
დე მტერი ბოლმით კვნესარი,
კვდებოდეს მუხლუსახსაროდ.
ათქვირებული ფურები
იალაღებზე უმარჯვე,
გაივსონ ზორბად ცურები,
სანამ მხრებს გადილურჯავენ.
ლაგაზ! შესცვალე ჰანგები,
ნუ შეშფოთდები არწივი.
ტიალი მტრობის ამბები
მოსპე გამხმარი ანწლივით.
ემაგ ფანდურის ლარებზე
სხვა ჰანგიც დაიმღერება.

შ. ამისულაშვილი.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია და მისი გამოკაკვილი სომხურ და ქართულ საზოგადოებაში

(ლეონ ასათიანის წიგნის გამო „ვოლტერიანობა საქართველოში")

(ბრძოლის. ლეონ მელიქსეთ-ბეგი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საფრანგეთის დიდი რევოლუცია და თანამედროვე სომხები"—ამ სათაურით დაიბეჭდა სწორედ 10 წლის წინეთ სტატია თ. აკადალბეკიანისა ერევნის ჟურნალ „ნორჯ"-ში (№ 4, გვ. 135—151) რომელშიც ავტორმა სომხურ ლიტერატურაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ არსებულ მასალებს თავი მოუყარა.

ამჟამად ჩვენ გვევალება რამდენადმე შევსება ამ მასალებისა თანახმად იმ ახალი ცნობებისა, რომლებიც ჩვენს წელთაა, საკითხის შედარებით უფრო ფართოდ დაყენებისათვის არა მხოლოდ სომეხთა ისტორიის, არამედ აგრეთვე საქართველოს ისტორიის ამოცანებიდან გამომდინარეობათ. რამდენადაც ამას ხელს უწყობს ლ. ასათიანის მიერ ახლახან ცალკე წიგნაკად გამოქვეყნებული ნარკვევი „ვოლტერიანობა საქართველოში" (ალმანახი, ტფ. 1933, გვ. 1—[illegible]).

ცნობილია, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონიკა აღბეჭდილია სომხურ ყოველდღიურ გაზეთ „აზდარარ"-ში, რომელიც იცემბრილ ქ. ნადრასში (ინდოეთს) თავმოყრილი სომეხთა ბურჟუაზიული ფენების იდეოლოგის, მოვდ. ჰარუთიუნ შიმავონიანის რედაქციით და შისსავე საკუთარ სტამბაში 1794—1796 წლებში ანდა, როგორც გაზეთის ჟურნალისტიკაში ყოველთვის ნათქვამი „მამათმთავრობასა უფლისა ლუკასი უწმინდესისა კათალიკოზისა სრულიად სომეხთასა ვაღარშაპატს და მეფობასა უდიდებულესის უფლის ირაკლი მეორისა ტფილისს". ამ ორ განოს ერთი კომპლექტი ეჯმიაზინის მუზეუმშია დაცული, რომელსაც ჩვენ პირადად წარსულ წელს გავეცანით.

როგორც თ. ავდალბეკიანიც სამართლიანად აღნიშნავს, სომეხთა პერიოდის ეს „პირმშო" ორგანო საფრანგეთის დიდ რევოლუციას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს სპეციალ მიმოხილვას და წერილებს არ უძღვნის, არამედ იხსენიებს მათ „სხვათა შორის", და ამ საკითხის შესახებ ცნობებს ვპოულობთ სხვადასხვა კორესპონდენციებსა, სტატიებსა და აგრეთვე განცხადებებში. ყველაზე მეტად კი ცნობები მოიპოვება ე. დ. „ქრონიკის" განყოფილებაში, სადაც აღსანიშნავია ახალი წელთალრიცხვის ახსნა-განმარტება ე. წ. „აზარიას წელთალრიცხვის" თვეებსა და რიცხვებთან შეფარდებით, სპეციფიკური ტერმინმოლოგია, რომელიც ამ დროიდან შემოდის სომხურ ენაში, მაგ. **გუილოტინ** (გილოტინა), ცნობები რობიესპერის და ნაციონალური კონვენტის შესახებ, სანკიულოტების შესახებ და სხვ. გარდა ამისა. მრავალი ცნობაა მიმობნეული იმდროინდელი საფრანგეთისა და საერთოდ ევროპის ვითარების შესახებ.

ასეთივე, თუმცა ხარისხობრივად უფრო ბუნდოვანი, ცნობები მოიპოვება რუსეთის იმპერიაში მკვიდრ სომეხთა იმდროინდელი მთავარეპისკოპოზის, თავად იოსებ მხარგრძელ—არღუთინსკის მიწერ-მოწერაში ინდოეთის სომეხთა კოლონიის წარმომადგენლებსა და სომეხთა კათალიკოზ ლუკასთან, სადაც მოხსენიებულია საფრანგეთის „არეულობა" და „მეფის მოკვლა", აგრეთვე საფრანგეთის სხვა „საშინელი და მწარე ამბები".

ავდალბეკიანი, ეხება რა შაჰამირიანის საკითხს, იხსენიებს იმ პროექტს „დამოუკიდებელი სომხეთის" შესახებ, რომელიც სპარსეთ-ინდოეთის ბურჟუაზიული წრეების მიერ იყო წამოყენებული პოტიომკინ-არღიუთინსკელი რეაქციონური პროექტის წინააღმდეგ: მაშინ. როდისაც უკანა სკნელის შემდგენილნი ოცნებობდენ „მონარქიული" სომხეთის აღდგენის შესახებ, სპარსეთ-ინდოეთის ბურჟუაზიის პროექტი, პირიქით, ჰგულისხმობდა რესპუბლიკანურ სომხეთის დაარსებას, რაც, უთუოდ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპიდან წამოწყებული მოლიბერალო მიმდინარეობათა შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ყველა იმ მასალას. რომელიც გვევლინება ნაბეჭდ წყაროებიდან. შეიძლება აგრეთვე დაემატოს შემდეგი ახალი ცნობა: ამ ორი წლის წინეთ ჩვენ მიერ აღმოჩენილი იყო ხელნაწერად ერთი ისტორიული ნარკვევი აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს ტფილისის მახრების შესახებ, რომელიც სერობის ანალოგური ტრაქტატის მიმბაძველობითაა შედგენილი უსახელო ავტორის მიერ 1796 წ. იანვარში და რომელიც ჩვენ მიერ დამზადებულია გამოსაცემად; მასში ნათქვამია, რომ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობას ადგილი ჰქონდა „დღეთა მეფობისა კონსტანტინეპოლეს სულთან სულემ მეორისა და თვითმპყრობელობისა რუსეთს, დედოფლის ნეტარინესი (ე. ი. ეკატერინესი), **მოითხეხა წელსა ფრანგეთის ერთობ აჯანყებისას** (ე.ი. 1791-4-1795)

ანალოგიური ცნობები, უთუოდ, ქართულ წყაროებშიც უნდა იყოს შემონახული, რაზედაც მიგვითითებდა განსვენებული ზ. ჭიჭინაძე ბროშურაში „ქართველ მეფეთ დროის ქართველ რესპუბლიკანელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის იწნაშე" (ტფ. 1917).

რასაკვირველია, არც ზ. ჭიჭინაძის ბროშურა, არც ლ. ასათიანის ცალკე წიგნაკად ახლახან გამოცემული ნარკვევი არ შეიცავენ უშუალოდ ცნობებს საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ ქართულ ენაზე. ხოლო ლ. ასათიანის ნარკვევი. როგორც სათაურიდანაც ჩანს, მიზნად ისახავს შეეხოს გამომძახილს იმ რაციონალისტური მოძრაობისას, რომელსაც „ვოლტერიანობა" ეწოდება;

როგორც **ლ. ასათიანი** სამართლიანად აღნიშნავს, „საქართველოში ვოლტერით და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებას არ ჰქონია ისეთი მასიური საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოძრაობის ხასიათი, როგორც რუსეთში", რაც, ავტორის აზრით, გასაგებია, „თუ გავიხსენებთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე" (გვ. 28). და მართლაც, როგორც აღნიშნავს, „საქართველოში ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ცალკე პიროვნებებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ **ხუკუნის დასაწყისში დალიეს. თერგისწყალი** (ხაზგასმა ჩვენია ლ. მ. ბ.) და საქართველოში გაიტანეს ეპოქის მაღელვებელი იდეები" (იქვე). ხოლო ეს ცალკე პირები არიან: ალექსანდრე ამილხავარი(გვ. 51-60), დავით ბატონიშვილი (გვ. 63-76) დავით ციციშვილი (გვ. 79-88) და ალექსანდრე ჭავჭავაძე (გვ. 91-94).

სწორედ ამ პირებზეა, რომ **ლ. ასათიანს** შეუგროვებია არსებული მასალები და ცნობები, **რომლებიც** თავმოყრილია მის ნარკვევში.

ამ წიგნაკის გამო ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ვალტერის თხზულებათა ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით ავტორს არ მოუქცევია ყურადღება პეტრე ლარაძის მიერ შესრულებულ ერთ-ერთი თარგმანისათვის, რომელზედაც განსვენებული პროფ. ალ. ცაგარელი მიგვითითებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საპირველმაისო დემონსტრაცია ტფილისში

სად. ტფილისის მტვირთავების გურული მოჰლერალთა გუნდი



საპირველმაისო დემონსტრაცია ტფილისში

ლენინის რაიონის ფიზკულტურული ქალები დემონსტრაციაზე



საპირველმაისო დემონსტრაცია ტფილისში

ძველ ბოლშევიკთა ჯგუფი ძველი დროშით, რომელიც აღმართული ყოფილა პირველ საპაისო დემონსტრაციაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონელ ბავშვებს შხამავენ მილიტარიზმის სულით

სურათზე: „მოწაფეების“ პატრიოტული დემონსტრაცია ტოკიოს ერთ-ერთ „ჰოსპიტალის“ ეზოში, სადაც ჩანჯურიაში დაჭრილი ჯარისკაცები იმყოფებიან. ბავშვები თავისი „ალმზრდელების“ ხელმძღვანელობით ყვავილებით „ეგზარბაზნებს“.

თანამედროვე ბერძანია

მესამე იმპერიაში ყველაფერი „რიჯზეა“—დილიდანვე იწყება ჟურნალების დაწმენდა მათბოვრებისა და უმუშევრებისაგან.

სურათზე: პოლიციელი ჟურნალებს ოფინის ფილიალ-